

საორშაბათო

ქართული
საინფორმაციო ცენტრი

საორშაბათო გაზეთი

ორშაბათი 18 ოქტომბერი 2004 №242 (2263)

ფასი 50 თეთრი

რა არ ხდება ფრანგებს გეგმაცხად და რა ხდება ვიტ ჯორჯიას



გურამ დოღვენიძე



Stoppmoller ჰერ კლაუსს წლისთავი დოლით გადაუსადეს



საორშაბათო პირველ გვერდზე წესად გვაქვს უქმეების უთვალავ მატჩთაგან რამდენიმეს გამოჩენა. იმათი, ევროპული ბობოლეები რომ თამაშობენ. დღეს კი ისე ხდება, რომ თავდაპირველად „სოშოს“, „ნიუკასლის“, „პანიონიოსის“ და „სპორტივგის“ ამბებს ვამბობთ. ამის მიზეზი კი, რაღა თქმა უნდა, ჩვენი „დინამო“.

უეფას თასზე ჩვენს მეტოქეთაგან ფრანგებმა და პორტუგალიელებმა დიდი ანგარიშით მოუგეს მეტოქეებს და ვინძლო საუეფას-თასო კვირის დადგომას გულარხეინადაც ხვდებოდნენ. „ნიუკასლი“, ჯგუფის ფავორიტი, ფრეს დასჯერდა „ჩარლტონთან“, თუმცა იგებდა თამაშს.

ერთი „პანიონიოსი“ დამარცხდა კრეტაზე. იმ ამბებიდან კი, რომლებიც მარტო ჩვენ კი არა, მთელი ევროპისთვის არის საინტერესო, აღსანიშნავი ბევრი რამაა. „არსენალის“ მომგები ისევ ვერ გამოჩნდა და ეს „ისევ“ უკვე ძალიან დიდხანს გრძელდება.

სამაგიეროდ, გამოჩნდა ჟოზე მურინიუს „ჩელსის“ დამჯაბნი. ეს „მანჩესტერ სიტია“, რომელმაც ტრამბა პორტუგალიელს რუსის ინგლისური გუნდი სეზონში პირველმა წაუქცია.

ისევ ვერ მოიგეს ევროპული ფეხბურთის სულ მთლად ბობოლეებმა „რეალმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რაც უკვე აღარავის უკვირს. ნაიქცა ბუნდესლიგის ლიდერი „ვოლფსბურგი“, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო.

ნაიქცა „ბაიერნიც“ და მიუნხენელთა მიუნხენშივე მომგები ლევან კობიაშვილის „შალკეა“.

ნაიქცა „ჰამბურგიც“ და გაიქცა მისი ზუსტად ერთი წლის წინ დანიშნული მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი. ამ გაქცევაში მას, რა თქმა უნდა, კლუბის უფროსობა დაეხმარა, რომელმაც მის ნაცვლად თომას დოლი მიიწვია.

აი, იანვრიდან კი „რეინჯერსზე“ შესაძლოა ველარ ვთქვათ, შოთა არველაძის, რაკი ქართველი ფორვარდის კონტრაქტს ვადა ვასდის, მაგრამ გლაზგოელები განახლებას არ ჩქარობენ თუ არ ფიქრობენ.

ფრანგმა გაიხსნა დინამო რობელის ბურთს ხარბად იცნობს

გუშინინდელ „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ ორი ფრანგი ესწრებოდა — „სოშოს“ ტექნიკური დირექტორი პიერ ვანტიე და მეორე მწვრთნელი ბლენ ბლამონი. ფრანგების ჩამოსვლის მიზანი ყველასთვის გასაგებია: უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში, ხუთშაბათს „სოშო“ „დინამოს“ ეთამაშება.

რა შთაბეჭდილება დარჩათ ფრანგებს „დინამოზე“ და საერთოდ, რა იციან ქართულ ფეხბურთზე? ამ და სხვა კითხვებზე გუშინინ ალენ ბლამონმა გვიპასუხა...

— მოგეწონათ „დინამო“?
— კარგი გუნდია. ეტყობა, რომ ბურთთან ახლოსა და ეს ჩვენთვის ძალიან საინტერესოა. თამაშიც ძალიან მომეწონა. ორივე გუნდი იბრძოდა და საბოლოოდ ძლიერმა მოიგო.
— ყველაზე მეტად რა გენიშნათ, გაკმაყოფილებით მოპოვებული ინფორმაცია?
— რამდენიმე ფეხბურთელი მომეწონა, მაგრამ გვარებს ვერ გეტყვით. მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვითამაშოთ. აშკარაა, რომ „დინამო“ ტექნიკური გუნდია და ბურთის დაჭერის საშუალებას თუ მისცემ, გაგიჭირდება. მეტს ვერაფერს გეტყვით. ჩვენი მწვრთნელისთვისაც ხომ უნდა შევიინახო რამე?!
— „სოშოს“ რა მიზნები აქვს უეფას თასზე?
— უფრო საფრანგეთის ჩემპიონატზე ვაკეთებთ აქცენტს, რადგანაც ვთვლით, რომ საერთაშორისო სარბიელზე დიდი წარმატებების მიღწევა არ შეგვიძლია, თუმცა შედეგებისდაგვარად წინ წასვლას ვეცდებით.

თბილისო შემადგენლობაშიცაა.
— რა შედეგი დააკმაყოფილებს „სოშოს“ თბილისში?
— ამაზე წინასწარ ლაპარაკი ძნელია. საფრანგეთში რომ ჩავალ, გილაკომბთან ერთად „დინამოს“ პლუს-მინუსებს გავარჩევთ და მერე ვნახავთ, რა შედეგილია და რა არა. ისე, „სოშო“ არც ერთ მეტოქეს არ ებუება და მოსაგებად ებრძვის. იმედი მაქვს, არც თბილისიდან წავალთ გულდაწყვეტილებით.
— ალენ ჟირესის ჩამოსვლის შემდეგ თქვენს ქვეყანაში საქართველოსადმი ინტერესი გაიზარდა?
— ჟირესი რომ თქვენს ნაკრებს წვრთნის, ვიცი, მაგრამ მხოლოდ ამით შთაბეჭდილების შექმნა ძნელია. ყველაფერზე მაინც შედეგები მეტყველებს.

ბასა ზალაგზარიძე

თბილისში წამოსვლამდე გილაკომბის „სოშოში“ ილიანის სამი გოლით „რენი“ დაამარცხა



— „სოშოს“ ფორვარდი სანტოსი ტრავმირებული იყო და შეძლებს თბილისში ჩამოსვლას?
— ვფიქრობ, შეძლებს. სანტოსს მუხლი აწუხებდა და ბოლო ტურში ამიტომ არ ითამაშა, თუმცა ამ დღეებში ვარჯიში განაახლა და სა-

ლოკომობილმა ახჯარი აისხა

უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩს, „დინამო“ — „სოშოს“ ინტერესი რომ არ აკლია, ფაქტია. ჰოდა, თბილისის თავების გადაწყვეტილებაც გასაგებია — მატჩზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები იქნება მიღებული.
ამის შესახებ ქალაქის პრემიერმა ბიძინა ბრეგვაძემ შაბათს გამართულ საგანგებო თათბირზე განაცხადა. „დინამოს“ მხრიდან თათბირს კლუბის უსაფრთხოების ოფიცერი გია ისიანი ესწრებოდა.
ბრეგვაძის დაპირებით, მატჩი მაღალ დონეზე იქნება ორგანიზებული და უსაფრთხოების უზრუნველყოფა დაცვის სამსახურ „ახჯარი 2004“-ს დაევალა.
ბარემ აქვე გეტყვით, რომ „სოშო“ თბილისში ოთხშაბათს ჩამოდის, თამაში კი მეორე დღეს, „ლოკომოტივის“ სტადიონზე 20 საათზე დაიწყება.

ლუბა თალაგვაძე



პროვულზე თუ ვერ ვითამაშებთ, პროვულად გაინს ვითამაშებთ

„დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მოსულ ბიან ბეპეშჩაძეს, ბუნებრივია, „სოშოსთან“ მოახლოებულ მატჩზე უფრო მეტი ვკითხეთ, ვიდრე ვეტყვინებთან მოგებაზე. „დინამო“ — „სოშო“ უკვე კარს მოგვადგა და, ცხადია, თქვენთვისაც საინტერესო იქნება, რას ფიქრობს თბილისელთა თავგაცა მიტოქეზე...

— სტადიონის შეცვლა რამდენად უარყოფითად იმოქმედებს „დინამოზე“?
— ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ მე წინააღმდეგი ვიყავი და ვარ „ლოკომოტივზე“ თამაშის. ამით „ლოკომოტივის“ სტადიონის დაკნინება არანაირად არ მინდა, პირიქით, მშვენიერია, მაგრამ ვთვლი, რომ „დინამოში“ „ეროვნულზე“ უნდა ითამაშოს. ეს ალბათ გარკვეულ უხერხულობას შეგვიქმნის, თუმცა შეიძლება, ვცდები კიდევ. სამწუხაროა, რომ „ეროვნულზე“ ვერ ვითამაშებთ, მაგრამ ამის გამო უკან დახევა სისულელეა.
— გუნდში როგორი განწყობაა და რას ფიქრობთ „სოშოზე“?
— განწყობა ისეთივეა, როგორც ნებისმიერი სხვა თამაშის წინ. არანაირი დაძაბულობა არ იგრძნობა. მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე ალბათ დაგვეტყობა მდგომარეობა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია და ვფიქრობ, ასეც უნდა იყოს. „სოშო“ სერიოზული გუნდია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა გულშემატკივრები გაეახაროს.

ბასა ზალაგზარიძე

დღეს ორშაბათია, როგორც ამბობენ, მძიმე დღე. ხუთშაბათი კი უთუოდ ცხელი დღე იქნება ამინდის მიუხედავად — „დინამო“ უეფას თასის ჯგუფში თამაშს იწყებს.

ვემზადებით ყველა — გუნდს და გულშემატკივარს. თამაშამდე და მის მერეც აზრის გამოსათქმელად მწვრთნელს და ფეხბურთელს საპრესკონფერენციო დარბაზი აქვს. გულშემატკივრის ტრიბუნა კი ჩვენი რუბრიკაა. მოინერეთ, რას ფიქრობთ „დინამოს“ შანსებზე, რა მოგნონთ გუნდში, რა არ მოგნონთ. ჩვენ კი თქვენს მოსაზრებებს და სურვილებს უთუოდ გამოვაცხევინებთ.

di_na_mo_fan@hotmail.com



შპს სტადიონი

მოახლოვდა ნანატრი თამაშთა თამაში: ჩვენი ჯგუფური შეჯიბრის გამხსნელი მატჩი „დინამოსა“ და „სოშოს“ შორის. თამაში „ლოკომოტივის“ სტადიონზეა. „ლოკომოტივი“ საუკეთესო სტადიონია თბილისში ხალხის დაჯდომის თვალსაზრისით. მისი გაღები, რა თქმა უნდა, მოსახსნელია, მაგრამ მაინც საუკეთესოა. თუმცა, სამწუხარო ის არის, რომ „დინამოს“ სხვა კლუბის მინდორზე უწევს თამაში.

ატენილი ხმაური „ეროვნულზე“ სკამების სასწრაფო დამონტაჟების შესახებ სულ ცარიელა რახარუნი გამოდგა, ვერ მოესწრო და ვერც მოესწრებოდა ჩვენი ტემპებიდან და მოწადინებიდან გამომდინარე. მეორე მხრივ კი, ითქვამს, რომ უეფა ლურჯ სკამებს იქით გადაცდენას არაფრით გვაპატიებს. ამ მხრივ სტადიონის უსაფრთხოების მოგვარება კი არ შეგვიძლია.

დაახ, თბილისია... ჩვენ ამდენ ხანს ველოდით ასეთ თამაშებს და, ცხადია, არავინაა გამსჭვალული ევროპული წესრიგით. თუმცა, რომ ეცადა ვინმეს 10 ათასი სკამის საჩქაროდ მოენა და დაყენება, ეს ძალიან ბევრ კარგ რამეს გამოიწვევდა. ამიტომ და იმიტომ, თამაში „ლოკომოტივზეა“.

ჩვენში ის კულტურაც უნდა გავაღწეოთ, რომ შენს პირად, ნაჩვევ მინდორზე სულ სხვა გემოთი თამაშობ. უეჭველია, „დინამოში“ ამას გრძობენ და კარგადაც იციან.

ცხადია, ტრავიკული ამაში არაფერია, მაგრამ ფეხბურთის გემოთა ამბავს თუ მივყვებით, ასეა, რომ შენი მინდორი სხვაა.

თუმცა, რახან ბრძოლა უკვე დანიშნულია, იქ უნდა იბრძოლო, სადაც მივითითეს.

რაცა ვთქვით, მხოლოდ ზოგად, სასურველ, სატრადიციო ამბად უნდა დარჩეს და სამომავლოდ მაინც უნდა იცოდნენ იმათ, ვისაც სკამების მოტანა შეუძლია, თორემ „დინამოს“ არასგზით არ უნდა გაუფუჭო ხასიათი.

... ეხლა თუ „ლოკომოტივზე“ ორი კინკლა კარი დატოვებს ღია და ზედახორები დაგვჭირდა, მაშინ ამ ძველ, საბჭოურ უსაფრთხოებას ვედარაფრით მოვიშორებთ.

წინ ძალიან მაგარი თამაში გვიდევს და ჯობია, ევროპას ცოტათი მაინც ევროპულად დავუხვდეთ.

ფეხბურთში ხომ დავიწყეთ და მის გარშემოც მივყვით.

თეგური ვარ, ზაურ... მახარაბემ ჩუბინიძის ნომერი და პარტი ქულა აბრიფა

ზესტაფონი 1:1 ტორაედო
ზესტაფონი 1:1 ტორაედო

<p>ზესტაფონი: მერკვილიშვილი, სიდამონიძე, ჯაფარიძე, პარამონოვი, პ. ნოზაძე, თურმანიძე, შავგულიძე (კვერნაძე 46), ბესარაშვილი, დ. ჯანაშია (ნუდნი 60; ჩილდინაძე 87), ზირაქიშვილი, რაქვიაშვილი სათადარიგო: ცინაძე, შუკაკიძე, ქურციკიძე, სულაკაძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე</p>	<p>ტორაედო: სტურუა, გამეზარდაშვილი, ებრაელიძე, ლ. მერებაშვილი (შულაძე 80), ს. თოდუა, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი, მეგრელიძე, ნერგაძე, კოშკაძე (დარსაძე 70), მემარნიშვილი სათადარიგო: გ. გაბელია, ლაღაძე, დათუნაშვილი, ადუაშვილი, რევაზიშვილი მწვრთნელი: ოთარ გაბელია</p>
<p>ბაძეშვილი: მეგრელიძე (87)</p>	
<p>მწვრთნელი: მ. მალაღრაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. მიქელაძე (სამტრედი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)</p>	
<p>სფვ-ის ინსპექტორი: ვ. ბარკაია</p>	



გია მეგრელიძე: მთავარი დამრტყმელის გაძევება „ტორაედოსთვის“ მძიმე დარტყმაა

ბიზ ამირანაშვილი ზესტაფონიდან

„ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელად თემურ მახარაძის დეპორტს წარმატებული ეთქმის. თანაც: ჯერ კიდევ „სიონში“ მიღებული დისკვალიფიკაციის გამო ზესტაფონელთა ახალი თავაკაცია თამაშს ტრიბუნადან ტელეფონით ხელმძღვანელობდა. ფეროვლები სულაც ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, იგებდნენ, მაგრამ წამით მეგრელიძე გაეპარათ და ბომბარდირმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, მათ პირველივე წუთებზე სახიფათოდ შეუტყეს. ჯერ ზირაქიშვილს, ერთ წუთში კი შავგულიძეს კარგი მომენტები შეექმნათ, თუმცა ბოლომდე ვერ ივარგეს. 24-ე წუთზე კი ზირაქიშვილს რეალური შანსი ჰქონდა, როცა ჯანაშიას კუთხურს ძლიერი თავური შეაკვება, მაგრამ სტურუამ იყოჩაღა. ტაიმის შუაწელიდან უკვე „ტორაედო“ გააქტიურდა. ჯერ ბოლქვაძის დარტყმული მცირედით ასცდა კარს, შემდეგ კი კოშკაძე დარჩა მეკარესთან თითქმის პირისპირ, დაარტყა კიდევ, მაგრამ მეგრელიშვილმა ძნელი ბურთი მოიგვრია. 35-ე წუთზე კი მასპინძლები სასწაულოთ გადაარჩნენ. ბოლქვაძის კუთხურს გამეზარდაშვილის თავური მოჰყვა, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, თუმცა ბოლო წამს მცველმა თავგანწირული ნახტომით კარის ზაზიდან გამოიტანა ბურთი. ტაიმის ბოლო წუთზე კი ჯანაშიას შეექმნა კარგი მომენტი რაქვიაშვილის პასით, მაგრამ ნახევრადმაკარატული დარტყმული ოდნავ ააცილა.


მეორე ნახევარი კვლავ „ზესტაფონის“ უპირატესობით დაიწყო, პარამონოვს თავით ჩინებული შანსიც ჰქონდა და ვერ გამოიყენა. 59-ე წუთზე კი გოლიც გავიდა. ზირაქიშვილ-კვერნაძე-ჯანაშიას სწრაფი კომბინაცია და „ჯანომ“ მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა. ამის შემდეგაც მასპინძლები დაცვაში არ ჩამჯდარან და ბურთს კარგად აკონტროლებდნენ, განსაკუთრებით ბესარაშვილის გამოყოფა შეიძლება, რომელმაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა სტურუმს. 70-ე წუთზე ზირაქიშვილი საჯარიმოში შევიდა, კარგადაც დაარტყა, მაგრამ სტურუა დადგა კედელივით. გაბელიამ თამაშში ახალგაზრდა ფორვარდი დარსაძე ჩართო და სწორედ მისი აქტიურობის შედეგად ბურთი ნერგაძეს მიუგორდა, რომელმაც თავის მხრივ მეგრელიძე მოძებნა. ფორვარდმა წინ გამოსულ მეკარეს დაბალი და ზუსტი დაურტყა — 1:1.

ამის შემდეგ ორივე გუნდი ცდილობდა თავისას, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე აღარ მისულა. თანაც მსაჯმა გინებისთვის მეგრელიძეს წითელი ბარათი უჩვენა და „ტორაედოს“ ბოლო შტურმის შანსი წაერთვა. ბოლოს კი ერთი საინტერესო ამბავიც: შეხვედრას თვალს ადევნებდა ათენის ოლიმპიადის „უზბეკი“ ოქროსმედალოსანი ალექსანდრე დოხტურიშვილი.


ოთარ გაბელია: ვიღაცა ჩვენს წინააღმდეგ შეგნებულად მუშაობს. იციან, რომ ერთი ფორვარდი გვყავს და დღეს გინებისთვის გაგვიგდეს. არადა, მეტოქის ერთ-ერთი ფეხბურთელი მთელი თამაში ავინებდა მსაჯს, ამაზე კი რატომღაც რეაქცია არ ყოფილა.

ზაურ ჩუბინიძე: გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს. „ტორაედო“ ერთ-ერთი ლიდერია და მასთან აღებული ქულა ურიგო შედეგი არ არის. მახარაძე მომავალი ტურიდან სათადარიგოთა სკამზე იქნება და თვითონ შეიტანს კორექტივებს თამაშში. კიდევ გაგვაჩინა პოტენციალი და იმედი გვაქვს, რომ არ გავარდებით.

დინამო	11	8	2	1	27:9	26
ტორაედო	11	6	4	1	16:5	22
ბათუმი	11	6	3	2	18:7	21
თბილისი	11	6	2	3	21:13	20
ლოკომოტივი	11	5	5	1	16:5	20
ვიტ ჰორავია	11	5	2	4	21:17	17
დილა	11	2	1	8	8:20	7
კოლხეთი	11	2	1	8	7:20	7
სიონი	11	2	1	8	10:28	7
ზესტაფონი	11	2	1	8	7:27	7



თემურ მახარაძეს ტრიბუნაზე ქლომის ვადა ამოეწურა



ოთარ გაბელიას ვიღაც-ვიღაცებზე ეჭვი აქვს

ბათუმი. 16 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური. 1000 (ტელეზა 5 00)

ბათუმი 1:1 ლოკომოტივი

0:1 ბობოხიძე (15), 1:1 ლლონტი (65)

ბათუმი: გრიშკაშვილი, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გალოგრი, ექონია, ზუჯაძე (ბესიკ თედორაძე 60), ქაცარავა, ი. შენგელია (მანჩავა 60), დარჩიძე (დლონტი 31), ფირცხალაიშვილი, ხომერიკი სათადარიგო: ბაღაძე; ჩიკვილაძე, ცანავა, დუმბაძე
მწვრთნელი: ნუკრი გოგიტიძე

ლოკომოტივი: გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, ბურდული (ლაბაძე 89), სიჭინავა, გოგობერიშვილი, რ. ონიანი, ლ. ჩხაიძე (სანიკიძე 60), სირბილაძე, ბობოხიძე
სათადარიგო: ბათიაშვილი; გ. აბალია, ქებაძე, გაგუა, მედოვი
მწვრთნელი: ზაურ სვანაძე

ბათუმის მწვრთნელი: ფირცხალაიშვილი (75), ონიანი (75)

მსაჯები: ა. შალაბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

სფვ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ფრა იყო ჯოხიძით ორი ბოლო ჰქონდა: ნასაგებიც იყო და მოსაგებიც

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

სატურნირო ცხრილში მეზობლების დაპირისპირება მოლოდინისაშემდეგ დაძაბული გამოდგა.

თბილისელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და დაწინაურდნენ კიდევ. მე-15 წუთზე თავიდანვე აქტიური სირბილაძე მარცხენა ფლანგზე ადვილად გაუსწორდა მეტოქეებს და ჩინებულად გადააწოდა უმეთვალყურედ დარჩენილ ბობოხიძეს, რომელმაც თავურით გრიშკაშვილს შანსი არ დაუტოვა — 0:1.

ბუნებრივია, ერთბურთიანი უპირატესობა გულს საგულეს ვერ ჩავიდებს, ჰოდა, „ლოკომოტივიც“ არ დაოკებულა. თბილისელები, კერძოდ, გოგობერიშვილი და სიჭინავა, სამაგალითოდ აკონტროლებდნენ ბურთს. ერთხელაც სირბილაძის წინ სამი ბათუმელი „ამოიზარდა“. ირაკლი უპრობლემოდ გაუკლავდა სამივეს, კედელი გაითამაშა ჩხაიძესთან და უზუსტესი პასით გოგობერიშვილი გრიშკაშვილს შეატოვა. ალექსანდრე ხელსაყრელ სიტუაციაში მეკარეს ვერ აჯობა.

ამასობაში ნახევარი საათი მიიწურა, ცხადი იყო, „ბათუმი“ ასეთი თამაშით ვერ იხვიებდა. ნუკრი გოგიტიძემაც ვიტალი დარჩიძის ნაცვლად მოედანზე ავთო დლონტი შეიყვანა. ცვლილება და თამაშის სურათის შეცვლა ერთი იყო. თან თბილისელებს დადლა დაეცოთ, აქტიური ნახევარსაათიანი მონაკვეთის შემდეგ ამკარად მოდუნდნენ. „ბათუმი“ კი პირიქით, გამოცოცხლდა და მასპინძლებმა ზედხედ სამჯერ სახიფათოდაც დაარტყეს. ჯერ ვანო მახარაძის დარტყმული ბურთი შეასცდა ძელს, შემდეგ დლონტისა და ფირცხალაიშვილის დარტყმული ბურთები მოიგვრია მეკარემ.

მეორე ტაიმში გოგიტიძემ დაღლილი ზუჯაძის და შენგელიას ნაცვლად მოედანზე ახალგაზრდა და დასვენებული ნუკრი მანჩავა და ბესო თედორაძე შეუშვა. ამან შუა ზაზი და მარცხენა ფლანგი გაუძლიერა. სვანაძემ კი ჩხაიძეს ლევან

სანიკიძე შეუნაცვლა, თუმც მან ამკარად ვერ გაუმართლა. ბათუმმა მეორე ნახევარი აქტიურად და ქაცარავას ძლიერი, შორეული დარტყმით დაიწყო. შემდეგ მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ფირცხალაიშვილმა მიიღო, შემოტრიალდა, დაარტყა კიდევ, მაგრამ მიზანში უმტყუნა. „ბათუმის“ უპირატესობა თვალსაჩინო ხდებოდა. სტურმები დაცვაში „ჩაჯდნენ“ და დაისაჯნენ კიდევ — ქაცარავამ ბურთი თბილისელ მცველებს გადაავლო და მეკარეს ერთდროულად ორი ფეხბურთელი შეატოვა; ფირცხალაიშვილმა ბურთი დლონტს დაუტოვა, ამან ხუთიოდე მეტრიდან დაარტყა, ბურთი მეკარეს მკერდზე მოხვდა, მერე ძელს და შემდეგ კარში შეგორდა — 1:1.

ანგარიში გათანაბრების შემდეგ გუნდებმა კარგად კი იბურთავეს, რაც ქართულ ჩემპიონატში იშვიათობაა, მაგრამ მატჩის მიწურულს ონიანისა და ფირცხალაიშვილის შელაპარაკებამ შეხლა-შემოხლა გამოიწვია, რამაც თამაშს ეშხი დაუკარგა.

შემდგომში ორივე გუნდს შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ვერც ერთმა ეს ვერ მოახერხა და საბოლოოდ 1:1.

ზაურ სვანაძე: კარგი თამაში გამოვიდა. ორივე გუნდმა იბრძოლა. პირველ ტაიმში შეგვეძლო, ორბურთიანი უპირატესობა გვექონოდა და მატჩის ბედი გადაგვეწყვიტა, მაგრამ... ბათუმსაც შეეძლო დაწინაურებულიყო, როდესაც მეორე ტაიმში დაცვაში გვათამაშა. „ბათუმი“ ბრძოლისუნარიანი გუნდია და წარმატებებს ვუსურვებ.

ნუკრი გოგიტიძე: კმაყოფილი ვარ თამაშითაც და შედეგითაც. სერიოზული მოწინააღმდეგე გვყავდა. ვინც მაღალი ადგილებისთვის იბრძვის, მისთვის ყველა ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველი ტაიმი ამკარად წავაგეთ. ჩემი დავალება ზოგიერთმა ფეხბურთელმა ვერ შეასრულა. მეორე ტაიმი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, თუმც მოგვბაც შეგვეძლო და წავებაც.

მსაჯები გადარჩნენ

ბათუმიდან შინ მიმავალ მსაჯებს — კობა გაბრიაძეს, ნუგზარ რუსიშვილს და ჯუმბერ ბუიშვილს გზად ავარია შეემთხვათ და ბელად გადაურჩნენ სიკვდილს. სხვებზე მეტად გაბრიაძე დაშავდა — ტვინის შერყევა და სახეზე ჭრილობები. რუსიშვილს ხელი მოსტყდა, ბუიშვილს კი სხეულის დაჟეჟილობები აღენიშნება. დაზარალებულებს პირველადი დახმარება ჩაქვში აღმოუჩინეს, ახლა კი ისინი უკვე შინ არიან.

კოლხეთი 1:0 თბილისი

1:0 თოდუა (42)

ძირითადში ვერ გაიტანა მენაძე (16, 77)

ძირითადში: ქვანთა, გორიზია, გ. კილასონია, აკობია, ქუტიძე, თაყაიძე, დ. ნარსია (ქობულაძე 67), გ. თოდუა (ვართაგაძე 87), ე. მარგალიტაძე, ზ. ქუთათიელი (ნ. ნარსია 52), ძირითადში სათადარიგო: გ. შენგელია; ხურცილაძე, ჭეჭია, კუნჭულია

თბილისი: შვირილაძე, ლოლაძე (გ. ნუგ. ჭელიძე 54), ორბელიანი, ქემოკლიძე, ა. კალაძე (გ. კვარაცხელია 76), ელიაშვილი, გოგუა, დ. ოდიკაძე, მიკუჩაძე (ფიფია 70), გ. მიქაძე, იაშვილი სათადარიგო: ალაღვიძე, მესხი, მიქიაშვილი

გაწმენილი: სერგო გაბელია

გაწმენილი: გიორგი დედუაძე

გაწმენილი: მიქაძე (40), დ. ნარსია (44), აკობია (57), გოგუა (61)

მსაჯები: ა. შილაკაძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედი); ზ. ანაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე



მკურნალებს ეხმარება ფეხბურთი



ანონსი უილაკაძე! თბილისს ნარკობი მოეხალა, კოლხეთს ცუდი ბრალიცია

გორა ზანაშვილი ფოტოიდან

ნამატჩი „თბილისის“ თავიანთი განრისხებული ჩანდა და პრესკონფერენციაზე მთელი რისხვა მსაჯებს დაატეხა თავს: „ფედერაციას უნდა შეევეითხო, შილაკაძის წონის მსაჯი თუ არსებობს სადმე? მე ახალგაზრდა მწვრთნელი ვარ და წაგებას მტკივნეულად განვიცდი. ეს ერთი წელია, რაც ფეხბურთში მოვედი და ბევრი უსამართლობა ვნახე. არ შეიძლება ასეთი მსაჯობა და ნეტავ როდის მოეღება ბოლო ამ საშინელებას“.

დედუაძის ეს სიტყვები გასაგებია, რადგან ვერც მისმა გუნდმა ითამაშა კარგად და არც მსაჯობა იყო მთლად დასაგებელი.

„თბილისის“ თავიანთი თავის მსველდობისასაც ვერ იოკებდა ემოციებს და შილაკაძის მისამართით საკმაოდ მკვახე და ხმამაღალ რეპლიკებს ისროდა. განსაკუთრებით 73-ე წუთზე აღმოფხვნილ სტუმრები, როცა გვერდითმა მამუკა ელიკაშვილმა მასპინძელთა კარში გატანილი გოლი არ ჩათვალა.

საეჭვო ეპიზოდი ნაღდად იყო. ოდიკაძის ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს საჯარიმოში ყველაზე მაღლა მიქაძე აუხტა და ლამაზი ტრაექტორიით გაშვებული ბურთი მისი თავიდან შორეულ ცხრიანში ჩაეშვა. ჰოდა, ელიკაშვილს ალამი მანამდეც აწეული ჰქონდა, თუმცა ვინ დააფიქსირა მან თამაშგარეშში, გასარკვევი ეს იყო. მიქაძე ნაღდად არ იყო თამაშგარეშში, რად-

გან დარტყმის მომენტში საჯარიმოს წინა ხაზთან იმყოფებოდა და ბურთს მერედა შეეგება. აი, სხვა თბილისელი იქნებ მართლაც ჩარჩა, მაგრამ გადაჭრით ამის თქმა ძნელია.

მსაჯებს ეს გოლი რომ ჩათვალათ, ანგარიში თანაბრდებოდა. „კოლხეთმა“ პირველი ტაიმის მიწურულს შეძლო დაწინაურება. თავისი ჩაწოდებულს შეყრილაძე ვერ შეწვდა, მის სიახლოვეს შექმნილ ორომტრიალში ქუთათელაძე ლამობდა დარტყმას, მაგრამ მას

თოდუამ დაასწრო და ილბოხანად დაარტყა კიდეც.

კოლხეთს ვერ კიდევ მე-18 წუთზე მართებდა გატანა. საჯარიმოში შეჭრილი ძირითადი მეკარის ხელს წამოედო და შილაკაძემ უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. ამ ორი ფეხბურთელის დუელი პენალტითაც გაგრძელდა და ამ შემთხვევაში შეყრილაძემ ივარგა. ბურთი ადგილზე გააქვავა.

საერთოდ, მატჩი საკმაოდ ხისტი გამოდგა. შილაკაძე უხეშობებიც იყო და შილაკაძეს ბევრი ჯაფა დაადგა, თამაშზე კონტროლი რომ არ დაეკარგა. „თბილისი“ უფრო დალაგებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა შესვენებამდე, მაგრამ კოლხეთის მომენტები უფრო მწვავე ჩანდა.

შეთხულებული შემადგენლობით მთამაშე სტუმრებმა მეორე ტაიმში თამაშის გადარჩენა მოიწადინეს. ბევრიც უტიეს მტოქეს, მა-

გრამ, რომ იტყვიან, რაღაც აკლდათ. შეტევაში იაშვილი და მიკუჩაძე პასიურები ჩანდნენ, ხოლო მიქაძე მარტო ვერ გადიოდა ფონს. დედუაძის გორგი ჭელიძით სცადა შეტევის გაძლიერება და მანაც გვარინანდ აუწეწა ნერვები კოლხ მცველებს. და მინც, სერგო გაბელიას შეგირდებმა მოახერხეს ბოლომდე თავის გატანა და „ფაზის“ წლებანდელ სეზონში პირველი გამარჯვებაც ანახეს.

21 აგვისტოს შემდეგ „კოლხეთს“ არ გაემარჯვა და გაბელიამ ეს „ტრადიცია“ ფოთში პირველ თამაშშივე დაარღვია. ნამატჩევის კი წუხდა, ჩემი გუნდი ვერ კიდევ არ არის მზად, „თბილისის“ დარ გუნდებს გაუმკლავდესო. თუმცა ფაქტი ტაბლოზეა — მისმა გუნდმა სასურველი სამი ქულა მანც მოაკვარახტინა და ოდნავ შეიმსუბუქა სატურნირო სიტუაცია.

საპარტოვარო ჩემპიონატი 16 ოქტომბერი 9 ტურში

მადაროელი 0:4 ამერი

ფეხბურთის თამაში დარდი აქვს რატომ ოთხი? მათ რამდენი?



დავით სევესტოპოლის გოლმა ჭიათურელები პირველად ვერ გააბარა

ირაბლი ნინიძე ჭიათურისგან

შაბათს ჭიათურაში „ამერის“ მცირერიცხოვანი გულშემატკივრებიც და „მადაროელის“ ორასამდე ქომაგიც რაღაცას მისტიროდნენ — მასპინძლები გაშვებულ გოლებს, სტუმრები კი გაფუჭებულ უნაღდეს მომენტებს. თავისთავად 4:0 რომ მოიგებ, კმაყოფილი უნდა იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, მომავალში უფრო ძლიერ გუნდთან ამდენი მომენტის გამოუყენებლობა „ამერს“ შესაძლოა ძვირად დაუჯდეს.

შეიძლება, თამაში მეცხრე წუთისთვის დამთავრებულიყო — ვერ იყო და, გვიკ გარუჩავამ მეკარის ბაქნიდან ბურთს თავი დაჰკრა და მასპინძელთა კარს ოდნავ ააცილა. მერე გიორგი სილაგავამ ვერ გაუჭრა იოლი პასი ზედ კარის წინ მარტოდ-მარტო მყოფ დავით სევესტოპოლოს. ამ მცირე უხეშობების გამო „ამერმა“ სწრაფად დაწინაურების შანსი დაკარგა და მეათე წუთზე ძლივს გადაურჩა გოლს — ზაზა კლდიაშვილის სახიფათო დარტყმული რევაზ ნაჭყვიამ გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე.

ერთი სიტყვით, „მადაროელმა“ სტუმრები გამოუყენებელი მომენტებისთვის ვერ დასაჯა და ამის მერე გაბუდმებით თავდაცვაზე უხდებოდა ზრუნვა. ერთადერთი სახიფათო მომენტი, ნახსენების გარდა, „მადაროელმა“ მეორე ტაიმის დაწყებიდან ათ წუთში შექმნა, როცა ლევან მოდუბაძის დარტყმული ნაჭყვიას ხელზე აეჭრა და ძელს მოხვდა.

მაგრამ ამ დროისთვის „ამერი“ უკვე ორი ბურთით იგებდა: სილა-

გავამ კუთხური ჩააწოდა, მეკარე ბალურაშვილმა გამოსვლაზე ბურთი ხელში ვერ შეიმარგა, დაუვარდა და სულიკო დავითაშვილმა საგოლედ დაჰკრა.

„ამერმა“ მეორე გოლი ტაიმის მიწურულს გაიტანა, ოლონდ ამჯერად როლები შეიცვალა. სილაგავამ საგოლედ პასი დავითაშვილისგან მიიღო.

მესამე გოლიც დავითაშვილის პასით გავიდა, რის მერეც თავად შეეძლო კიდეც ორის გატანა — ორჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ და ერთხელ მეკარემ აულო, მეორედ კი ზემოდან გადაგდება მოინდომა და კარს ააცილა. ხოლო მესამე გოლის ავტორი სევესტო-

პულო გახდა, ყოფილი მადაროელი, რომელმაც წინა სეზონში 27 მატჩში 30 გოლი გაიტანა და მეტწილად სწორედ მისმა გოლებმა განაპირობა „მადაროელის“ პირველი ლიგაში აღზევება.

ბოლო გოლი კი შეცვლაზე შესულმა რატი წინამძღვრიშვილმა გაიტანა, თუმცა მანვე ორი უაღრესად ხელსაყრელი მომენტიც ვერ გამოიყენა.

თამაში ამით დასრულდა და გუნდები თავიანთი, განსხვავებული მიზნებისთვის აგრძელებენ ბრძოლას — „ამერი“ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად, „მადაროელი“ კი პირველ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.



სულიკო დავითაშვილმა ერთი გაიტანა, ორიც გაატანინა

Table with 2 columns: Team Name and Statistics (Goals, Assists, etc.).



გაბრიელ კაპორალინი ფოტო

აირზენა: აირაროზლავა

...ეს წერილი შაბათის „სარბიე-ლში“ უნდა დაბეჭდილიყო და საგაზეთო ფართობიც მოზომილი იყო, მაგრამ ქართული ავიაკომპანია „აირზენას“ ასევე ქართული უგერგელობისა თუ უპასუხისმგებლობის გამო უკრაინულ შთაბეჭდილებებზე თხრობას სადღეისოდ ვახერხებ. აბა, ბორისპოლის აეროპორტში არც მუშაობისთვის იყო პირობები და, სიმართლე გითხრათ, „აირზენას“ მომსახურებით გაღიზიანებულს საამისო განწყობა არც მქონდა.

მოკლედ, „აირზენაში“ კიევი-თბილისის პარასკევის რეისი ისე გადადო, მგზავრები იმის ღირსადაც არ ჩათვალა, მცირე ახსნა-განმარტება მაინც მიეცა, რატომ გადაიდო რეისი. აბა, რა კომპენსაციაზე, რომელ ყურადღებაზეა ლაპარაკი, როცა „აირზენას“ მავანი წარმომადგენელი კიევში მგზავრებს (ფრანგებს, ამერიკელებს, უკრაინელებს, ბელგიელებს) ვითარებაში გარკვევის ნაცვლად იქით ადანაშაულებდა, არ იცოდით, რეისი რომ გადაიდო, დაგერეკათ, ტყუილად აეროპორტში რას მოდიოდითო. წარმომადგენელი ქართველებთან, რა თქმა უნდა, უფრო თავდაჭერილი იყო და გვითხრა, ტექნიკური მიზეზის გამო თბილისში შაბათს ვაგვირინდებითო. ერთი სიტყვით, კიევი-თბილისის რეისის მგზავრები უპატრონოდ ბორისპოლში დაგვყარეს. აქვე იყვნენ ფრანგული „სოსოს“ წარმომადგენლებიც, რომლებიც თბილისში „დინამოზე“ დასაკვირვებლად მოემგზავრებოდნენ.

უკრაინა: საქართველოს კაბ

როგორ შეიძლება, კაცს უკრაინელებზე აუცილებლად უფრო დაეცდეს, როცა, გნებავთ, ლვოვში, გნებავთ, ჩერვონოვრადში, კიევში ქართველის ხსენებაზე ყველა, უწვერული ყმაწვილით დაწყებული, ყვარჯინანი მოზუციით დამთავრებული, ტაქსისტი თუ ოფიცინტი, ყურნალისტი თუ მუშა, პროფესორი თუ მინისტრი ერთსა და იმავეს გუებნება, მობას ვეფიცება. გვეითება ქართულ ამბებს, იხსენებს რუსთაველის პროსპექტს და

ქოგას გეფიხეზაბით, ქოგას გვეფიხეზაბიან უხრაინაში საქართველო თამაზბარეში არ არის

მცხეთას, ქართულ ღვინოსა და ფელამუშს, ზაჭაპურსა და ჩახოხბილს. — ცხოვრების დონე საქართველოში ამაღლდა? — კითხვა, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე უკრაინაში გესმის.

— ნელ-ნელა ჭაობიდან ამოვდევართ — არის ჩვენი პასუხი და აშკარად გრძობს უკრაინელს ხასიათი ეცვლება. იქ ხომ 31 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნებია. ოპოზიციონერი იუშჩენკო პრემიერ-მინისტრი იანუკოვიჩის წინააღმდეგ.

მხარდამჭერი იუშჩენკოს აშკარად მეტი ჰყავს, მაგრამ ხალხს არჩევნების გაყალბების შიში აქვს: რუსეთს, ამჟამინდელ პრეზიდენტ კუჩმასა და იანუკოვიჩს ხშირად ერთ, უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ ხოლმე. იანუკოვიჩი თურმე ორჯერ ნასამართლევი ყოფილა, ერთხელ ხულიგნობისთვის, ერთხელაც, როგორც ბევრი ამბობს, გაუპატიურებისთვის. საეჭვო წარსულის დასაფარად და პატიოსანი კაცის იმიჯის შესაქმნელად კი უკრაინის ოფიციალური ტელევიზიით ყოველდღე აცხადებს, იანუკოვიჩი საბჭოთა რეჟიმის დროს დააპატიმრეს, უკრაინის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა და დისიდენტობის ბრალდებით დაატუსაღდესო. ხალხს ამისა, რა თქმა უნდა, ნაკლებად სჯერა. დასავლეთ უკრაინაში, ლვოვში, ჩერვონოვრადში, საერთოდ, ორი თავი უნდა გქონდეს, იანუკოვიჩის სახელი ახსენო.

პოლიტიკა და ფანჯარა

ეს ორი სიტყვა და... ჰორილკა, ჩვენებურად არაყი. აი, ამჟამინდელი უკრაინა. სხვა სალაპარაკო თემა, გარდა პოლიტიკისა და ფეხბურთისა, უკრაინაში არ არის. საუბარი იწყება იუშჩენკო-იანუკოვიჩის შანსებით, გრძელდება უკრაინის ნაკრებით და შეეჩეკოთი და მთავრდება ასე: წამო, ძმაო, ასი გრამი გადავკრათ... და მერე ისევ თავიდან — პოლიტიკა, ფეხბურთი... — რომ ვთქვათ, უკრაინაში ფეხბურთის დიდი მცოდნენი არიანო, გადაჭარბებული იქნება. კიევში კიდე უფრო ესმით საფეხბურთო ნიუანსები, წეს-კანონები, ლვოვში კი... მაგალითად, ჩვენი მატჩისას კობიაშვილმა აუტიდან ბურთი მცველების ზურგს უკან „გაპარულ“ არველაძეს გადააწოდა. სტადიონი კი უკმაყოფილოდ აგუგუნდა, აქაიდა, შობათა ოფსაიდში იყო. არადა, ანბანია, აუტისას თამაზბარე არ არის. ასეთი და მსგავსი კიდე ბევრი ეპიზოდი იყო. ლვოველები ფეხბურთში დიდად ვერ ერკვევიან, მაგრამ, სამაგიეროდ, ის იცოდნენ, უკრაინის მეტოქე იმ დღეს საქართველო რომ იყო და ჩვენი პატივისცემისთვის რას აღარ აკეთებდნენ. ქართველ ქომაგთა მცირე ჯგუფის შემახილზე — „საქართველო“, თქვენ წარმოიდგინეთ და, მთელი „უკრაინა“ ინაბებოდა და ჩვენების ხმა მკაფიოდ ისმოდა.

სიაშიონებს ნაკრებში თამაში, მაგრამ ისიც ყველამ კარგად იცის, რომ უშეგენკოდ უკრაინის ნაკრები წარმოუდგენელია. ისიც ვთქვით, შეგენკომ საქართველოსთან შესაძლებლობების 50 პროცენტით ითამაშა, თუმც იქვე მოვრიგდით, რომ შეგენკოს მეტ-ნაკლებად განეიტრალება ხიზანიშვილ-ხიზანიშვილ-ცქიტიშვილის დამსახურება იყო. შეგენკოს დიდად არც მოუნდომები-აო, თქვა ალექსეიმ. ხალხი და სხვა უკრაინელი ყურნალისტიები კი ამბობენ, თამაში შეგენკომ მოიგო და სხვათათვის მისაბამია მისი მონდომებაო. ვერ დავეთანხმები, ვინც ამას ამბობს. მიზეზი: მაშინ გამოდის, შეგენკოს ჩვენამდე უკრაინის ნაკრებში ფეხი საერთოდ არ გაუნძრევია.

„დავაი შევა!“

ასე გუგუნებდა „უკრაინა“, როცა ბურთს ანდრეი შეგენკო მიიღებდა. ანდრეი შეგენკო — ფეხბურთელი, რომელზეც მთელი უკრაინა ჭკუას ჰკარგავს. ფეხბურთელი, რომელსაც ყველა ხელის გულზე ატარებს და ეთაყვანება... და ფეხბურთელი, რომლის პატრიოტულ გრძნობებზე უკრაინაში ბოლო ხანს სულ უფრო მეტს ლაპარაკობენ. მატჩის შემდეგ კიევში სრულიად შემთხვევით ლვოვში გაცნობილი კოლეგა, ალექსეი კომაროვსკი შემხვდა, გაზუთ „უკრაინსკი ფუტბოლიდან“. აქეთურ-იქითური რომ მოვილიეთ, მოულოდნელად მომიბრუნდა და მკითხა, საქართველოში კახა კალაძეზე რას ფიქრობენ? მასაც უჭირს ნაკრებში ჩამოსვლა? ნაკრებში შესაძლებლობების მასქიმუ-მით თამაზობს? თავს არ იფასებს?

არა-მეთქი, ვუპასუხე ნაკრებში კალაძეს თამაში არ ჩაუგდია და ვერავინ იტყვის, თავს იფასებსო. კოლეგა გაოცდა და ამ თემას ბოლომდე მივყვეთ. ბოლოს კი შევთანხმდით: შეგენკოს დიდად არ

ნიკურმა დირექტორმა პიერ ვანტიემ და მწვრთნელის თანაშემწე ალენ ბლამონმა. ცხადია, ქართული ავიაკომპანიის მომსახურების ხარისხზეც ვისაუბრეთ. რას იტყოდნენ სტუმრები, იოლი მისახვედრი უნდა იყოს. აი, „დინამოზე“ კი პიერ ვანტიემ მითხრა: — თბილისის „დინამო“? როგორ არ გამიგია, ეს ხომ დიდი კლუბია. მე ვიცი ყიფიანი, ვინც „დინამოში“ თამაზობდა და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ვიცი, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ფირესია და წარმატებით მუშაობს. თუმც გუშინ ვაგივე, საქართველოს უკრაინასთან წაუგია. საწყენია, ასე რომ მოხდა. ქართულ ფეხბურთზე ბოლო დროს ფრანგულ პრესაში ბევრი იწერება. ...ამჟამინდელ „დინამოზე“ რა გითხრათ. როცა სტატისტიკას გადავხედე, დავრწმუნდი, ძლიერ გუნდთან გვაქვს საქმე. „ვისლას“, „დინამომ“ ხუთი გოლი გაუტანა, „სლავიას“, ზუსტად აღარ მახსოვს, ოთხი თუ ხუთი (სამი), იქამდე კი ბელარუსულ გუნდსაც ბევრი გოლით აჯობა.

...ვერ წარმოვიდგენდი, „დინამო“ თუ „ვისლას“ დამარცხებდა. დანარჩენს კი ხვალ გეტყვით, „დინამოს“ მატჩს უნდა დავესწროთ. თბილისში ჩემი საქმე სწორედ ესაა. კიდეც მაინტერესებს, სად გვაქვს თამაში და გუნდმა რომელ სასტუმროში უნდა იცხოვროს.

დაველოდოთ უკრაინას

და ერთიც, რა თქმა უნდა, ისევე უკრაინაზე. აი, სიტყვები, რითაც უკრაინელებმა გამომაკილეს — თბილისში ძალიან ძნელი იქნება. საქართველო — უკრაინის საგაისო თამაზამდე, იმედია, უკრაინის პრეზიდენტი იუშჩენკო გახდება, საქართველო და უკრაინა კი უფრო დამოხილდებიან. მაშ, დაველოდოთ უკრაინას, კარგ ხალხს, ქართველების დამფასებლებს და ისევე პატივცემულნი გავუშვათ, როგორც მათ საქართველოს ნაკრებს უმასპინძლეს. ოღონდ, სამი ქულა აქ დარჩეს.

სოფო აირზენას ბოინგში

მოდით, „აირზენას“ ერთხელაც ვახსენებ, რადგან უკვე გითხარით, რომ კიევიდან თბილისში ჩემთან ერთად იმგზავრეს ფრანგული „სოსოს“ წარმომადგენლებმა — ტექ-

კოზა ინასარიძე ლვოვი-კიევი-თბილისი

გერმანია

ბუნდესლიგა. VIII ტური

ბაიერნი 0:1 შალკე

0:1 ასამოა (76)

ბაიერნი: კანი, კუფური (სანიოლი 79), ლუსიო, თ. ლინკე, სალიპამიჯინი, პარგრეისი, შვაინსტიიგერი, ფრინგისი (დემიკელისი 83), დაისლერი (გიორლიცი 46), ბალაკი, მაკაი

შვინტენელი: ფელიქს მაგათი

შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუსისი, ბორდონი, კრსტიანი, პანდერი, პოულსენი, პამიტ ალტინტოპი, კომპანი-შვილი, სანდი, ასამოა (პანკე 90), აილტონი (გ. ვარელა 67)

შვინტენელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: ბალაკი, ფრინგისი, კუფური, ასამოა, პოულსენი, ალტინტოპი

მსაჯე: გრეფე

63 000 მაყურებელი

ნიურნბერგი 3:0 ფრაიბურგი

1:0 მინტალი (26), 2:0 ვიტევი (49), 3:0 შროტი (56)

ნიურნბერგი: შეფერი, ს. მიულერი, ჰაიტო, ნიკლი (დ. რაინჰარდტი 48), ლ. მიულერი, ლარსენი, კანტალუპი, მინტალი, ვიტევი, შროტი (კესლინგი 87), ბანოვიჩი (სლოვაკი 78)

შვინტენელი: ვოლფგანგ ვოლფი

ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, ს. რიტერი, ბ. დიარა, ვილი (კულიბალი 46), კონდე, მოჰამადი, კრუპე, ანტარი (შ. მიულერი 68), დორნი, სანუ (პოლმანი 84)

შვინტენელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: ვიტევი, ს. მიულერი, ლარსენი, ჰაიტო, შუმანი

მსაჯე: კესლერი

21 000 მაყურებელი

შტუტგარტი 2:0 დორტმუნდი

1:0 შინკელი (52), 2:0 კაკაუ (68)

შტუტგარტი: შილდებრანდი, შინკელი, შტრანცელი, ბაბელი, ლამი, სოლო, მაისნერი (პ. გერბერი 90), ა. გლები, ჰელდტი (ვრანიევი 83), კაკაუ, საბინი (კურანი 55)

შვინტენელი: მათიას ზამერი

დორტმუნდი: ვარმუზი, ევანელსონი, დემელი, ვიორსი, ნ. იენსენი (სენესიე 76), ოლიხე, კრინგე, ოდონკორი (აკგოინი 67), როსიკი, დედე, კოლერი

შვინტენელი: ბერტ ვან მარვიკი

გაფრთხილება: ბაბელი, მაისნერი, როსიკი, ოლიხე, ევანელსონი, კოლერი

მსაჯე: მეიერი

48 000 მაყურებელი

ჰერტა 3:1 ლეიპციგისი

1:0 ფილბერტი (39), 2:0 მარქსი (52), 2:1 შნაიდერი (54), 3:1 მარსელინი (78)

ჰერტა: ფილბერტი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურნიკი, შიმონი, ფატი, ნ. კოვარი, ტ. მარქსი, ბაშოურკი (კ. მიულერი 73), მარსელინი (ნოინდორფი 90), ფილბერტი, ბობიჩი (რაფაელი 81)

შვინტენელი: ფალკო გიოტი

ლეიპციგისი: პ. ბუტი, ნოვოტნი, როკე ფუნორი, ბ. შნაიდერი, რამელო, პლასენტე, ფრაიერი (ბაიჩი 69), პონტე (ბალიტი 46), კრინოვიკი, ბერბატოვი, ფრანკა (ვორონი 59)

შვინტენელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: კოვარი, ფრიდრიხი, მარქსი, შიმონი, როკე ფუნორი, ნოვოტნი

მსაჯე: ვაინერი

47 152 მაყურებელი

ბაიენი 2:1 ვერდერი

0:1 ხარისტიასი (56), 1:1 ვაილანდი (83), 2:1 აუერი (90)

ბაიენი: ვახე, ნიკოლიჩი (კრამნი 80), მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე, ფ. გარბერი, ახაუაგი, ბაბაძე (იოვანოვიჩი 75), და სილვა, აუერი, კეისი (ნ. ვაილანდი 66)

შვინტენელი: იურგენ კლოპი

ვესტფალიური სუპერგა: მიუნხენი ყოველდღე ვერ მოიგებ

ბოქსიოლარს ერთი წალი დაუბრიალს



ბაიერნი — შალკე. გელზენკირხენელმა ოლივერ კანმა (მარცხნივ) კი შეუტია, მაგრამ „შალკეს“ ფრანკ როსტმა არც მის გაატანინა და არც მიხაელ ბალაკს

ვირდერი რანგე სტალტერ, იმპერი, პასენი, მანნი, ფ. ბაუზი, ბოროსკო, ფრანკო, მკუ კოლუ, ხარისტიასი (ვლანჩი 72)

შვინტენელი: თომას შაფი

გაფრთხილება: ვაილანდი, ხარისტიასი, მანინი, ერნსტი

მსაჯე: ფლაიშერი

20 300 მაყურებელი

ჰამბურგი 0:2 ბრემენი

0:1 ოვომოილა (57), 0:2 ბაკი (65)

ჰამბურგი: პიკენაგენი, შლიკე (მადავიკა 63), ვან ბოტენი, ბარბარესი, კლინგი, ბულარუზი, იაროლიმი, მორიერა, რანი, ე. მენზა, ტაკაპარა

შვინტენელი: კლაუს ტომპიოლერი

ბრემენი: ბაილი, ოვომოილა, ლანგკამპი, გაბრიელი, შულერი, კუფი, დამიერი (ბოგუში 90), ფოლანგი (ბოკი 55), შველა, ბაკი, ფ. ვატი (დ. დორი 83)

შვინტენელი: უგე რაპოლდერი

გაფრთხილება: იაროლიმი, ბარბარესი, მორიერა, ლანგკამპი

მსაჯე: შტარკი

44 903 მაყურებელი

ბოსნი 0:1 ჰანზა

0:1 პრიკა (75)

ბოსნი: ვან დუინბოგენი, კოლდინგი, კალა, მაიხელბეგი, პ. ბიონი (ტროიანი 80), ცდებელი (პროისი 60), მალტრიცი, ვიმი (მისიოვიჩი 69), ბეკმანი, ლოკვენი, პ. მადლერი

შვინტენელი: პეტერ ნორიურერი

ჰანზა: შობერი, მიორლე, ლაპინსკი, კ. მადლერი, დ. რასმუსენი (რიდლევიჩი 87), პერსონი, ლანცი, თ. რასმუსენი (მეგლე 90), დი სალვო, ოლბოკი (პილი 80), პრიკა

შვინტენელი: იური შლიუნცი

გაფრთხილება: კალა, მაიხელბეგი, ლაპინსკი, ოლბოკი, პრიკა

მსაჯე: შმიდტი

24 902 მაყურებელი

ეს ბუნდესლიგა, მაგრამ ტურში რამდენიმე მოულოდნელი შედეგი მაინც არ უნდა იყოს ჩვეულებრივი ამბავი — „ჰანზა“ სტუმრად მოიგო, ჩემპიონი „ვერდერი“ „მაინცთან“ დამარცხდა, „ჰამბურგმა“ შინ წააგო, „ლევერკუზენმა“ ძალიან უხეიროდ ითამაშა...

მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ კი 63 000 კაცი მივიდა და „ბაიერნის“ მარცხი დააგვიმონა. გელზენკირხენის „შალკემ“ ახალი მწვრთნელის, რალფ რანგნიკის ხელში მეორედ მოიგო და მეშვიდედანი შეექცევა ადგილზე აინაცვლა.

ალტინტოპმა ჯარიმა ჩააწოდა და ჯერალდ ასამოამ ოლივერ კანს ახლოდან თავით გაუტანა — ასე დამარცხეს ვესტფალიელმა „ხუმარებმა“ გერმანიის უტიტულოვანესი გუნდი.

რანგნიკმა გარისკა და „ბაიერთან“ სტუმრად სამი ფორვარდით ითამაშა — ასამოა, ებე სანდი და აილტონი. ლევან კობიაშვილმა ნახევარდაცვაში ითამაშა და „შალკემ“ სწორედ შუა ხაზში მოუგრიხა კისერი ბავარიულ გიგანტს.

ქართულმა სამუელ კუფურთან ჭიდილში იყოჩაღა და ასამოას გატანის შანსიც მიეცა, მაგრამ ჯერალდამ მომენტი გაანია — ეს გოლამდე ექვსი წუთით ადრე მოხდა. „ბაიერნს“ თავდასხმაში უჭირდა — როკე სანტა კრუსი, კლაუდიო პიზარო, ვაჰიდ ჰაშემიანი და ალექსანდერ ციკლერი დაშავებულნი არიან. პოლა, მიხაელ ბალაკმაც ფაქტობრივად ფორვარდის პოზიციაზე ითამაშა, თუმცა უნაყოფოდ.

ერთი სიტყვით, „შალკემ“ ძალიან ფასეული სამი ქულა მოინაგრა, ნამატჩეგს კი ეს ითქვა: მიხაელ ბალაკი: „მთელი მატჩის განმავლობაში აგრესიულობა გვაკლდა, „შალკემ“ კი ჭკვიანურად ითამაშა, მეტი მოთმინება და ამტანობა გამოაუღინა“.

ფელიქს მაგათი: სანაკრებო თამაშებით გამოწვეულმა პაუზამ ჩვენზე ცუდად იმოქმედა, ხე რობერტომ დასვენება ვერ მოასწრო, ჰაშემიანი კი სულაც ტრავმირებული დაბრუნდა ნაკრებიდან. არ ვიყავით სათანადოდ მობილიზებული და დამსახურებულად წავაგეთ“.

ჯერალდ ასამოა: „როცა შანსს გამოიყენებ, შეგიძლია თქვა, რომ დამსახურებულად გაიმარჯვე. მატჩის მიწურულს მეტოქემ კი შემოგვიტია, მაგრამ კრსტიანიმა და ბორდონმა სოლიდურად ითამაშეს დაცვაში“.

რალფ რანგნიკი: „მიუნხენში ყოველდღე ვერ მოიგებ, დღეს კი ეს ჩვენ მართლაც დავიმსახურეთ. „ბაიერნმა“ ერთი საგოლე მომენტიც ვერ შექმნა, ჩვენ კი გოლის გარდა კიდევ ორჯერ გვექონდა შანსი“.

ბოქსიოლარები

ნოივილი (მიონხენგლადბახი)	8
კლოზე (ვერდერი)	6
კაკაუ (შტუტგარტი)	6
ბერბატოვი (ლევერკუზენი)	5
ვერტორნი (დორტმუნდი)	5
კოლერი (დორტმუნდი)	5
მინტალი (ნიურნბერგი)	5

IX ტური

23 ოქტომბერი	
გლადაბახი	: პანოვიჩი
ვილფსბურგი	: ბოსნი
ჰანზა	: ბაიერნი
შალკე	: ბაიენი
ჰამბურგი	: ნიურნბერგი
ლაუტბახი	: ვერდერი
ფრაიბურგი	: შტუტგარტი
დორტმუნდი	: ჰამბურგი
არნჰეიმი	: ჰერტა

ტურმა „ბაიერნის“ გარდა მწვრთნელიც მოიხილა — „ჰამბურგიდან“ კლაუს ტომპიოლერი, გერმანიის — გუნდმა ამ ბუნდესლიგაში მისი ხელმძღვანელობა შენარჩუნა. გო. სიმბოლურია ისიც, რომ ტომპიოლერმა „ჰამბურგი“ შარშან ზუსტად 16 ოქტომბერს ჩაიბარა — გუნდში ზუსტად ერთი წელი იმუშავა. ტომპიოლერი მეორე მწვრთნელია, ვინც მიმდინარე ბუნდესლიგაში დაიფრინეს — პირველი „შალკეს“ დამრიგებელი იუპ ჰაინკესი გახლდათ. „ჰამბურგს“ ახლა თომას დოლი გაწვრთნის, ვისაც 90-იან წლებში გერმანიის ნაკრებში უთამაშია.

ექვსამთვიანი მოუცველი სერია „ნიურნბერგმა“ მაინცდამაინც „ფრაიბურგთან“ შეწყვიტა ამ მარცხით იმპულსი. უტიტულოვანესი გუნდი ორი საფეხურით ქვეით, მე-15 ადგილზე დაეშვა.

და „მაინცი“, რომელიც ზედიზედ შვიდი მატჩია, არ დამარცხებულა. მისი დაჯანსაღება ვერც ჩემპიონმა შეძლო, არადა, „მაინცი“ ჯერ აგებდა „ვერდერთან“. ბუნდესლიგაში კი ბოლო წუთზე გაიდაყლა და...

დაბითი თამარტილიაქი

მეორე ბუნდესლიგა

დუისბურგი 3:1 უნტერჰაინენი

1:0 დრევი (2), 2:0 გრლიხი (55), 3:0 ბოლუმი (66), 3:1 კობადო (68)

პარლსრუი 4:1 მსენი

0:1 კოილი (6), 1:1, 2:1, 3:1 ფრაისი (16, 17, 52), 4:1 დანდი (55)

ერფურტი 0:3 აუი

0:1 კური (23), 0:2 ოუსკოვიკი (26), 0:3 რემი (51)

კიოლნი 3:2 ობერჰაუსენი

0:1 კეტი (10), 1:1 მოდოლსკი (23), 1:2 რიტორი (35), 2:2, 3:2 მოდოლსკი (51, 82)

ბურგჰაუსენი 0:1 ფიურტი

0:1 როსლერი (22)

დინამო 2:1 ჰაბერშიმი

1:0 კენედი (8), 1:1 ჰაგენი (19), 2:1 კენედი (39)

ტრირი 0:4 ალემანი

0:1 ბრუნსი (13), 0:2 კლიცპერა (29), 0:3 მამინი (52ს.კ.), 0:4 როდფსი (64)

კოტბუსი 0:0 ალენი

აინტრახტი — მიუნხენი

დღეს გაიმართება

ფიურტი 8 6 1 1 9:2 19

კიოლნი	8 5 1 2 14:12 16
ალემანი	8 4 3 1 20:7 15
დუისბურგი	8 5 0 3 10:8 15
ბურგჰაუსენი	8 4 2 2 16:12 14
აუი	8 3 2 3 14:10 11
ზაარბრიუკენი	8 3 2 3 10:8 11
აინტრახტი	7 3 2 2 15:14 11
უნტერჰაინენი	8 3 1 4 14:13 10
კოტბუსი	8 2 4 2 6:8 10
ტრირი	8 2 4 2 8:11 10
მიუნხენი	7 2 3 2 9:10 9
ალენი	8 1 5 2 7:7 8
კარლსრუე	8 2 2 4 9:12 8
დინამო	8 2 1 5 12:17 7
ერფურტი	8 1 4 3 4:11 7
კალითეა	4	1	1	2	7:7	4
ოფი	4	1	1	2	3:3	4
აპოლონი	4	1	1	2	2:4	4
იონიკოსი	4	1	1	2	2:4	4
პანიონოსი	4	1	0	3	2:5	3
კერკირა	4	0	2	2	1:4	2
არისი	4	0	1	3	3:7	1
ერგოტელისი	4	0	1	3	1:7	1



მურამ დოღვაშვილის ფოტო

დადიანური ტრადიცია ბრაიხოვის ფინალი შეხვდა

ირაკლი პერტაია

დღეს, საღამოს ხუთ საათზე ვერის ბაღში უკვე ტრადიციულად ქვეული ფინალი გაიმართება. დუ-დუ დადიანის ხსოვნის ტურნირს აქამდე ორი ჩემპიონი ჰყავდა — „დინამო“ და „სტუ-ჯეოსელი“ და თასი ახლაც ამთვან ერთ-ერთს დარჩება.

ამ უქმეებზე ვერის ბაღმა რვა მატჩს უმასპინძლა და ამ საკალათბურთო მართონში დადიანის ტურნირს ფინალისტებიც გამოვლინდნენ. დიდი მარჩიელობა არც უნდოდა იმის გამოცნობას, რომ ფინალში კვლავაც „სტუ-ჯეოსელი“ და „დინამო“ ითამაშებდნენ. მას შემდეგ, რაც პირველ ტურში ტექნიკოსებმა აზერბაიჯანული „ნტდ-დე-ვონი“ დაამარცხეს, სტუ უმალ დადიანის თასის მომავალ მფლობელად მოინათლა, ხოლო რაკი მეორე ჯგუფში ხეირიანი არავინ იყო, სტუდენტების ჩემპიონობაში მოცილებულ დადიანელებს ასახელებდნენ.

როგორც კი სამტურნო კენჭისყრის შედეგები გამოცხადდა, კალათბურთში მოტირალე ხალხმა მაშინვე თქვა, ვედერაციამ „დინამოს“ ჯგუფში განგებ შეახვედრა სუსტი მეტოქეები, რათა ნაკრების მწვრთნელისთვის მინიმუმ ფინალში თამაში დაეებებინათ. ამას ვერავინ დაამტკიცებს, ხოლო ის კი უეჭველია, „დინამო“ მეორე ჯგუფში რომ მოხვედრილიყო, ფინალზე ვერც იფიქრებდა. ის კი არა, ბრაიხოვის გუნდი გუშინ გვარიანად დასუსტებულ რუსთავის „თუჯს“ გადაურჩა — მთელი თამაში აგებდა და ბოლოსდა მოახერხა საჭირო გამარჯვების მოპოვება.

მამ ასე, შაბათით დავიწყეთ, მეორე ტურით. არც ამ დღეს გამოერია დაბაბული მატჩები, თუ არ ჩავთვლით თსუ — „დეკონის“ დაპირისპირებას, რომელმაც ინტერესი თამაშის ბოლოსდა შეიძინა, როცა სტუდენტები ნიადავ მოლიდერე აზერბაიჯანელებს ორი ქულით მიუახლოვდნენ. ეს მოხდა ახალგაზრდა ბესიკ ლეჟავას სამქულიანის შემდეგ — თსუ-ს თამაშის გადარჩენის შანსი მიეცა. ბაქოელთა

ქართველმა თავკაცმა ნუგზარ კანდელაკმა უმალ წუთშესვენება აიღო, თავისიანები ენერგიით დაბუნტა და საბოლოოდ გამარჯვებაც მოიპოვა. სტუ-სთან მარცხის შემდეგ ბაქოელებმა თსუ კი დაამარცხეს, მაგრამ ბურთების არასახარბიელო შეფარდების გამო ფინალში გასვლის შანსს ფაქტობრივად გამოეთხოვეს.

შაბათს გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა, რომელთაგან ყველაზე უინტერესო „დინამო“ — სსუ იყო. რატომ? შეხვედით ანგარიშს და მიხვდებით.

მაგრამ, ანგარიშში დიდი სხვაობის გამო ვერ ვიტყვი, სტუ — „მაკაბიც“ ცალფარა იყო. ტექნიკოსებმა საბოლოოდ სოლიდური სხვაობით კი იმარჯვეს, მაგრამ მანამდე მთელი სამი მეოთხედი აგებდნენ. საერთოდ, „მაკაბი“ მატჩის პირველი სამი ათწუთეული ყველას ტოლ-სწორად ეომება, მაგრამ მისი აქილევსის ქუსლი ბოლო მეოთხედი. ადრე ჯამლეტ ხუნაშვილი ამბობდა, ჩემი გუნდი ჩემპიონი გახდებოდა, მხოლოდ პირველი ტაიმის ანგარიში რომ ფიქსირდებოდა. ახლა ბატონ ჯამლეტს თამამად შეუძლია, თქვას, რომ მისი გუნდი საუკეთესოა საწყისი სამი მეოთხედის შედეგების გათვალისწინებით. მაგრამ ეს რომ ბევრს არაფერს ნიშნავს, რეალობიდან ჩანს: „მაკაბი“ დღეს მეშვიდე ადგილისთვის ტურნირზე უსუსტეს თელავის „ბურჯს“ ეთამაშება.

კახელების გუნდი დებიუტანტია და გამოცდილება აკლია. „ბურჯმა“ შაბათს ჩინებულად დაიწყო რუსთაველებთან თამაში, კახელების სწაიპერ დავით აკოლაშვილს სამიანების იშტა გაეხსნა და ერთხანს თელაველები 12 ქულითაც იგებდნენ, თუმც საბოლოოდ ამხელა სხვაობითვე დამარცხდნენ.

ასე ჩარიხინდა შაბათის მატჩები და მოატანა კვირამ — ამ დღეს უნდა გასცემოდა პასუხი ყველა კითხვას. ისე, გასარკვევი ბევრიც არაფერი გახლდათ, ორივე ჯგუფში თითო საკანძო მატჩი იყო და ჩვენი ორიენტირიც ეს გახლდათ.

ერთ ჯგუფში თსუ-ს სტუ ეთამაშებოდა და გამარჯვებული ფინალში

გადიოდა, ხოლო მეორეში „დინამო“ — თუჯის“ ჯახს უნდა გამოეკვინა ფინალისტი. პირველ დაპირისპირებაზე ლაპარაკი კი ჭირს, იმხელა განსხვავება იყო კლასში და ანგარიშში. საბოლოოდ უსაშველოდ დიდი სხვაობა არ დაფიქსირებულა, მაგრამ მატჩის მსვლელობისას ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ისე ჯაბნიდა სახელმწიფო უნივერსიტეტელებს, მოედანზე გახედვაც კი მოგერიდებოდა. „სტუდენტური დერბი“ არასდროს ყოფილა ასეთი უინტერესო და ემოციებისგან დაცლილი. სამწუხაროდ ამის მიზეზი არაა ტექნიკოსთა უსაშველო ძლიერება. პირიქით, თსუ გვარიანადაა დაუძლეურებული და სანამ ახალგაზრდები შეთამაშდებიან, შეკრულ „სტუ-ჯეოსელთან“ კიდევ არაერთხელ დამარცხდება.

ასე რომ, გულშემატკივართა ვარაუდი გამართლდა, სტუ-მ ფინალის საგზური მოიპოვა და „დინამო“ — „თუჯის“ შედეგს არხეინად დაელოდა.

გამართლდა ის წინათქმაც, რომ ფინალში „დინამო“ გავიდოდა, მაგრამ რუსთაველებს ცოტაც რომ გაეჭირვებინათ, დრაჟენ ბრაიხოვის გუნდს მშრალზე დატოვებდნენ.

ოთარ ხმელიძის ბიჭები საკმაოდ მობილიზებული გამოვიდნენ მოედანზე და გაახალგაზრდაებული „დინამო“ მაშინვე ჩამოიტოვეს. შეუპოვრობის ცოცხალი მაგალითი გახლდათ ანატოლი ბოისა, რომელიც უბაღლოდ თამაშობდა და ბრაიხოვისთან მხოლოდ დადიანის ტურნირისთვის დარჩენილმა შიო ხეცურთანმა რომ ვერაფერი გააკეთა, ტოლიკას დამსახურებაა.

ამ მატჩს აკლდა ქართული კალათბურთის გამორჩეული სახეები, მაგრამ თამაში მაინც საკმაოდ არაქართული გამოვიდა (კარგი გაგებით). ორივე გუნდი უსწრაფესად უტევედა, განსაკუთრებით კი „დინამო“, რომელიც გაცილებით გაახრებულად თამაშობს წინა სეზონთან შედარებით. ლამაზი გამყრელიძეს ბურთი თვალის დახამხამებაში გადაჰქონდა რუსთაველთა ნახევარზე, ქვემოქართლელთაგან კი იგივეს დავით არწივაძე აკეთებდა და თამაშიც არ გახლდათ

დუდუ დადიანის მემორიალი		ენერჯივული	
16 ოქტომბერი		17 ოქტომბერი	
დინამო 106:49 სსუ		სსუ 95:65 ბურჯი	
20:11 31:11 33:19 22:8		31:4 21:13 24:22 15:4	
დინამო: ბეჭაური (2), გამყრელიძე (12), ხეცურანი (8), დიდა (10), ლაფანაშვილი (11), ლოსაბერიძე (14), ჯანუაშვილი (12), გულიაბედაშვილი, სუბიშვილი (17), გ. მაისურაძე (20)	სსუ: ერქვანია (10), მინდიაშვილი, პატარაია, გასიტაშვილი, ჩიტაშვილი (2), ურიდია (12), ქვილითაია (4), ონიკაშვილი (4), გოლეტიანი (7), მ. ბერიშვილი (10)	ბურჯი: იაგორაშვილი, ფეიქრიშვილი, სენიაძე (3), პაპუნაშვილი (7), ნუცუბიძე (9), აკოლაშვილი (16), დოღვაშვილი (8), მ. შერმადინი (2), ს. შერმადინი, ზამბახიძე (2), ქისტაური (18)	სსუ: ერქვანია (21), მინდიაშვილი (2), პატარაია (6), გასიტაშვილი (2), ჩიტაშვილი (9), ურიდია (2), კორძაძე (2), ქვილითაია (1), ონიკაშვილი (4), გოლეტიანი (15), მ. ბერიშვილი (18), მეტრეველი (13)
მსაჯემი: მავა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა	მსაჯემი: მავა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა	მსაჯემი: ხათუნა გაბედავა, მალხაზ ანდლულაძე	მსაჯემი: ხათუნა გაბედავა, მალხაზ ანდლულაძე
ქმისარი: თენგიზ ქიქოძე	ქმისარი: თენგიზ ქიქოძე	ქმისარი: როლანდ გელოვანი	ქმისარი: როლანდ გელოვანი
სტუ 107:86 მაკაბი	სტუ 107:86 მაკაბი	დემონი 95:76 მაკაბი	დემონი 95:76 მაკაბი
20:24 28:20 21:23 38:19	20:24 28:20 21:23 38:19	27:21 18:24 24:18 26:13	27:21 18:24 24:18 26:13
სტუ: დ. ბერიშვილი (14), პირველაშვილი (2), გაგნიძე (16), კობრიძე (2), შანიძე (22), მარკოიშვილი (22), დევიძე (4), გოგობერიშვილი (23), მიქაძე (2)	მაკაბი: ნინოშვილი (12), ზადრიძე (7), ნულაია (4), ერგემიძე, ფიცხელაური (7), ვაშაკიძე (28), ნინიაშვილი (26), კონჯარია (2)	დემონი: ასკეროვი, ი. ბერიშვილი (17), ფაშაძე (10), ტროშინი (2), ანოხინი (2), ჰამიდაძე (2), კეშელავა (18), იუსუპოვი (3), მუსკუდინი (7), იმნაძე (18), ზახვიცი (16)	დემონი: ასკეროვი, ი. ბერიშვილი (17), ფაშაძე (10), ტროშინი (2), ანოხინი (2), ჰამიდაძე (2), კეშელავა (18), იუსუპოვი (3), მუსკუდინი (7), იმნაძე (18), ზახვიცი (16)
მსაჯემი: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი	მსაჯემი: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი	მსაჯემი: მავა კუპატაძე, ლიკა ქაჯაია	მსაჯემი: მავა კუპატაძე, ლიკა ქაჯაია
ქმისარი: როლანდ გელოვანი	ქმისარი: როლანდ გელოვანი	ქმისარი: თენგიზ ქიქოძე	ქმისარი: თენგიზ ქიქოძე
დემონი 71:67 თსუ	დემონი 71:67 თსუ	სტუ 110:92 თსუ	სტუ 110:92 თსუ
17:15 22:19 21:19 11:14	17:15 22:19 21:19 11:14	32:17 32:24 23:30 23:21	32:17 32:24 23:30 23:21
დემონი: ი. ბერიშვილი (14), ფაშაძე (5), ტროშინი (8), ანოხინი, ჰამიდაძე, კეშელავა (19), იუსუპოვი, მუსკუდინი (9), იმნაძე (4), ზახვიცი (12)	თსუ: გაფრინდაშვილი (4), მაისურაძე (9), ფანულაძე (10), ლეჟავა (23), მარხვაშვილი (4), ვეფხვაძე (5), ბაქრაძე (5), ლომიძე (2), კოკოლიშვილი (5)	სტუ: დ. ბერიშვილი (15), პირველაშვილი (2), გაგნიძე (12), კობრიძე (4), შანიძე (22), მარკოიშვილი (11), დევიძე (4), გოგობერიშვილი (17), მიქაძე (23)	სტუ: დ. ბერიშვილი (15), პირველაშვილი (2), გაგნიძე (12), კობრიძე (4), შანიძე (22), მარკოიშვილი (11), დევიძე (4), გოგობერიშვილი (17), მიქაძე (23)
მსაჯემი: ზაზა მაჩალაძე, მავა კუპატაძე	მსაჯემი: ზაზა მაჩალაძე, მავა კუპატაძე	ქმისარი: როლანდ ხომერიკი	ქმისარი: როლანდ ხომერიკი
ქმისარი: როლანდ ხომერიკი	ქმისარი: როლანდ ხომერიკი	დინამო 68:62 თსუ	დინამო 68:62 თსუ
19:20 18:17 31:20 21:20	19:20 18:17 31:20 21:20	14:19 12:18 20:13 22:12	14:19 12:18 20:13 22:12
თსუ: ტყეშელაშვილი (13), არნიციძე (8), დანელიანი (15), ჩაჩუა (5), გოგოლაშვილი (1), მურჯიკიანი (24), ბოისა (16), ლიპარტიანი (7)	ბურჯი: იაგორაშვილი (6), ქუჯაიძე (17), სენიაძე (2), ნუცუბიძე (12), აკოლაშვილი (19), დოღვაშვილი (4), ზამბახიძე (4), ქისტაური (3)	დინამო: ბეჭაური (3), გამყრელიძე (19), ხეცურანი (3), დიდა (10), კვიციანი, ლაფანაშვილი (8), ლოსაბერიძე (22), ჯანუაშვილი, სუბიშვილი (3)	დინამო: ბეჭაური (3), გამყრელიძე (19), ხეცურანი (3), დიდა (10), კვიციანი, ლაფანაშვილი (8), ლოსაბერიძე (22), ჯანუაშვილი, სუბიშვილი (3)
მსაჯემი: ლიკა ქაჯაია, მალხაზ ანდლულაძე	მსაჯემი: ლიკა ქაჯაია, მალხაზ ანდლულაძე	ქმისარი: როლანდ ხომერიკი	ქმისარი: როლანდ ხომერიკი
ქმისარი: როლანდ ხომერიკი	ქმისარი: როლანდ ხომერიკი	მურმან ქურდიძე	მურმან ქურდიძე



რუსთაველი რამაზ გოგობერიშვილი ახლა „სტუ-ჯეოსელის“ მეტოქეებს არბევს

მურამ დოღვაშვილის ფოტო



კოკა კოლას თასი. თიხნარი. საბრძოლო ფონდი 15 000 \$

ხაზიერის ხვავრიანი ესპანელმა დაუხარა ტენისსა

ნახევარფინალი

რანიერ ვიციტორი (6, ავსტრია) — ნიკოლაი დიჩოვი (უკრაინა) 6:3, 6:0
ხაზიერ ბარსი-სინტაში (2, ესპანეთი) — ბარტ ბეკსი (ჰოლანდია) 6:0, 7:5


ფინალი

ხაზიერ ბარსი-სინტაში (2, ესპანეთი) — რანიერ ვიციტორი (6, ავსტრია) 6:3, 6:2

„კოკა კოლას თასის“ მეოთხედფინალში ლადო ჩიხლაძის მძლეველმა ესპანელმა ხაზიერ გარსია-სინტეშმა შაბათ-კვირაც ისეთი მოიწყო, როგორც სურდა. ადრევე ვთქვით, თასს სინტეშისა და ჰოლანდიელი ბარტ ბეკსის ნახევარფინალურ წყვილში გამარჯვებული აწევს-თქო. ასე ავიხდეთ ყველაზე ტკბილი ოცნებები.

ისე კი, ამ წყვილში აშკარად მეტ დაძაბულობას ველოდით. ულალომანმა ჰოლანდიელმა ტურნირის მეორე ნომერ ესპანელს წინააღმდეგობა მხოლოდ მეორე სეტში გაუწია, ბოლომდე ღირსეულად ეჩინებოდა და 5:7 დამარცხდა. პირველი კი ისე უსუსური ბაღლივით დათმო, ჩვენი მისდამი ნათქვამი თბილი სიტყვების ცრტატი შეგვრცხვა კიდევ ბეკსს პირველ სეტში გემიცი კი სანატრული გაუხდა, პოდა, ეს სეტი მთავლო და მეორე-მესამე სეტებზე დაიწყო ფიქრი. თუმც გარსია-სინტეში სხვაგვარად ფიქრობდა და რაც მთავარია, მოქმედებდა, ასე რომ მესამე სეტი არ შედგა.

მეორე ნახევარფინალში ავსტრიელმა რანიერ ვიციტორმა იბატონა. მანამდე მშვენივრად მოთამაშე უკრაინელი ნიკოლაი დიჩოვი ისე დაჩოგნა, ტკბილ, უფორე კი მწარე მოგონებად ოდენ სამი მოგებული გემი დაუტოვა.



მარტინ გომესი

კვირას ფინალში კი დიჩოვის დღეში ეიციტორი თავად აღმოჩნდა. მასზე უკეთესი რეიტინგის ესპანელს ვერაფერი დაუპირისპირა და 3:6, 2:6 დამარცხდა.

ოთარ მალაქაძე



AP მილუოკიდან

ზაზა ფაჩულია დენვერელ მარკ პოუპს უფარებს

ზაზა ფაჩულიას ფარზე დააზარუნა

ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსმა“ კიდევ ერთი საგამოფენო მატჩი გაუმართა ნიკა ცკიტიშვილის „დენვერ ნაგეტსს“ და ამჯერად თავად ჩაიწერა გამარჯვება. ამაში კი 12 ათასი მილუოკელიც დაეხმარა. „დენვერის“ განაცხადში პირველად გამოჩნდა ნიკა ცკიტიშვილი, ვისაც სატრანსფერო პრობლემასთან ერთად ფეხიც აწუხებს და ამის გამო „მილუოკისთან“ წუთიც არ უთამაშია. სამაგიეროდ, თავისი წილი ბურთები კვლავ ჩაყარა ფაჩულიამ. ზაზა ამ ჯერზე დაძვებ ხუთეულში არ ყოფილა, შეცვლაზე შევიდა და ყოჩაღად — 21 წუთში თამაშიდან ოთხი ბურთი ისროლა და ყველა ჩაგდო, ხოლო ოთხი საჯარიმოდან სამი გამოიყენა და 11 ქულა მოაგროვა. წინა ორ საგამოფენო მატჩში, „მინესოტასთან“ და ისევ „დენვერთან“ შესა-

ბამისად 16 და 12 ქულა მოიხვეჭა. ამჯერად ზაზა 11 ქულით თავისიანებში მხოლოდ 14-ქულიან მაიკლ რედს ჩამოუვარდა. „მილუოკიმ“ კი 93:91 დაამარცხა „დენვერი“ მიუხედავად იმისა, რომ რომელიმე მილუოკელს თავი არ გაუგვივებია და 30-35 ქულა არ მოუხვეჭია. „ბაქსის“ მწვერთული ტერი პორტერი არც ისწრაფვის ვარსკვლავური გუნდის შექმნისკენ. უნდა, რომ გუნდში ჰყავდეს 9-10 მეტ-ნაკლებად თანაბარი მოთამაშე და მისი ტაქტიკა ჯერჯერობით ამართლებს. წინა სეზონის დაწყებამდე უიმედო აუტსაიდერად ჩათვლილმა „მილუოკიმ“ თამაშების ნახევარზე მეტი მოიგო და პლეი ოფსაც უწია, სადაც ბრძოლაში დამარცხდა მომავალ ჩემპიონ „დეტროიტ პისტონსთან“.

კობე ყოფნა

ლინდსის დაღლილობაზე გაუბრძოლა

პრემიის თასი
მოსკოვი. ტერქეშა ხალიჩა
ქლები. საბრძოლო 13 მილ. \$

ნახევარფინალი

ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:4, 7:6 (7:1); ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:4, 7:5

შუა კვირაში ქალთა შორის უკვე მეხუთეჯერ გაპირველოსნებულმა ლინდსი დევენპორტმა ლელოს ბოლომდე გატანა ვეღარ შეძლო — თუმც კი ძალიან უნდოდა, რეიტინგის სათავეში მოქცევა მყისვე მორიგი ტიტულით მოეგვირისტებინა, მაგრამ სამისოდ ილაჯი უკვე აღარ აღმოაჩნდა.

ან კი რა გასაკვირია, წლეულს ოც ტურნირზე ნაწონაგებსა და ყველაზე მეტი, შვიდი ტიტულის მომხვეჭ 28 წლის ქალს სეზონის მიწურულს დაღლილობა რომ წამოსწოლა?! და ისიც ნუ დაგავიწყ-

დებათ, რომ ეს ქალი სულ რაღაც ოთხი-ხუთი თვის წინ სულაც იმას ამბობდა, წლის ბოლოს ჩოგანი სამზარეულოში უნდა დაკვიდრო.

დაკიდებს, რო? საკითხავიც აი, ევ არის. მისკინასთან წაგების შემდეგ კი დევენპორტი ძირითადად იმაზე საუბრობდა, რომ სეზონი ძალიან გრძელი გამოუვიდა, რომ განსაკუთრებით ზაფხულში დაინარჯა და რომ მოსკოვში საერთო მოქანცულობა გრძელმა თავის ტკივილმაც დაუძძიდა.

რაღა ბევრი გაავარძელოთ, თავის მესამე საამსეზონო ტიტულზე მონადირე მისკინამ ფინალში გააღწია და იქ მის მიერ როლანგაროსობის გადამწყვეტ მატჩში ძლეულ თვისტომს, ელენა დემენტიევას უნდა რკნოდა. სხვათა შორის, კრემლის თასის ისტორიაში ეს პირველი შიდარუსული ფინალი იქნებოდა.



ლინდსი დევენპორტი მოგებმა გათანგა

კაცები.

საბრძოლო 1 მილიონი \$

ნახევარფინალი

მარკ რუშინკი (ბრიტანეთი) — დომინიკ პრებატი (3, სლოვაკეთი) 6:4, 6:3; ნიკოლაი დემინტოვი (8, რუსეთი) — მიხაილ იუფინი (5, რუსეთი) 7:5, 6:7 (5:7), 7:5

აკადემია შავ ფლავზე მკობრობს

საქართველოს ჩემპიონატის ფაგორიტმა, თბილისურმა „იმედი L აკადემიამ“ ოდესაში გამარჯვების კვირული მოიწყო. ჩვენებმა შავი ზღვის რეგიონთა თასზე ჯერ ნახევარფინალში 5:0 დაარბიეს ხა-

როკოული გუნდი, ხოლო ფინალში მოსკოვის „ფილის“ 10:3 აკმარეს და თასიც ალაღად ჩაიხუტეს. თუმც აკადემიელთა ამბიციები შავი ზღვის დაპრობას სცილდება. ამ გამარჯვებების წყალობით ქართულმა კლუბმა ევროპის რეგიონთა თასის მეოთხედფინალში გადაინაცვლა და ლატვიის მთავარქალაქ რიგის კლუბს ესტუმრება. იმედია, ჩვენებს ლატიშების ძლევა არ გაუჭირდებათ, რის შემდეგაც ნახევარფინალში ფრანგული ბარიერი ელით — სავარაუდოდ, პროვანსის რეგიონის გუნდი, რომელმაც ორიოდ წლის წინ აჭარლები დაგვიმარცხა. ისიც გვეიმედება, „აკადემია“ ევრორეგიონთა თასზეც ოდესურად იბურთავებს...

ილია ნანოვაშვილი

BA-CA TENNIS TROPHY
ვენა. ტერქეშა ჰარდი
საბრძოლო 682 750 €

ნახევარფინალი

გილერმო კანინასი (6, არგენტინა) — ტომი პაასი (გერმანია) 6:4, 6:3; ფლორინანო ლოპესი (8, ესპანეთი) — დავიდე სანგუინეტი (იტალია) 6:3, 6:3

შუა ივლისიდან მოყოლებული ვილერმო კანინასმა ორი მარცხის წილ უკვე 24-ე გამარჯვება მოირეწა. ამ შთამბეჭდავი სერიისას მან სამი — უმაგის, შტუტგარტის და შანაის ტურნირი მოიგო და წუხელ ერთი ნაბიჯიდა აკლდა, ამ სამისთვის კიდევ ერთიც მიემატებინა. საკუთრივ ვენაში კი მას ასევე ერთი მარცხის წილ უკვე მე-9 მოგება დაურგოვდა და ნიშანდობლივია, რომ ის ერთი მარცხიც — 2001 წლის ფინალში — სწორედ ტომი პაასისგან ჰქონდა ნაგემი.

OPEN DE MOSELLE
მეცი. ტერქეშა ჰარდი
საბრძოლო 375 750 €

ნახევარფინალი

რიზარ ბასკი (საფრანგეთი) — ჯეზ მორისონი (აშშ) 6:1, 6:4; შარლ პენელი (საფრანგეთი) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 6:7 (5:7), 7:6 (7:4), 7:6 (7:1)

ორწლიანხვერის წინ რიზარ გასკე ჯერ 16 წლისაც არ იყო, როცა მონტეკარლოის პირველ წრეში არგენტინელ ფრანკო სკილარის აჯობა და საეიტბიო მატჩის მომეტი უმრწემესი მქოუნე გახდა. შემდეგ მან კიდევ რამდენიმე რეკორდი მითავალა — სხელდობრ, ასევე უმრწემესად შეაღწია რეიტინგის ზეორასეულსა და ზეასეულში. თუმცა ამგვარი გამალებული სვლის მიუხედავად, ფრანგთა პატარა უფლისწულმა ვერც ვერ შესძლო, სადმე ტემპარტად გა-

ებწყინა და გაბრწყინებას ვინ ჩივის, ამ ტურნირამდე ერთ ქეციან საეიტბიო ფინალშიც ვერ გასულიყო. ერთი სიტყვით, 18 წლის ვასკემ თავის პირველ ფინალს უწია და იქ გუშლამ თავისზე 6 წლით უფროს უსახელო თვისტომ ჟერომ ანელს, თუ ენელს უნდა შებმოდა. ეს უკანასკნელი რეიტინგის 24-ე საფეხურზე ღვას და მილეთში კიდევ იმით იცნობენ, რომ უმწვერთელოდ და თანაც მარტო ევროპაში თამაშობს მარტო ევროპაში იმბოტომ, რომ ამ სტრიქონების ვაგლახი ავტორისა არ იყოს, თვითმფრინავით მგზავრობა არ ნაყვარება. პო, მართლა — 1999 წლის მარსელობის შემდეგ ეს პირველად უნდა მომხდარიყო, რომ რავინდარა ტურნირის ბედი შიდაფრანგულ ფინალს უნდა გაერკვია.

ლევან კილაშრაძე

საქართველოს IX					
ეროვნული ჩემპიონატი					
VII ტური					
ლელო 29:15 ლოკომოტივი					
გათუში 12:10 ანა					
აკადემია — ყოჩაგი გადაიდო					
	თ	მ	ფ	ს	ქ
ლელო	7	5	1	1	11
დათუვაი	6	4	0	2	8
აკადემია	4	3	1	0	7
ლოკომოტივი	7	3	0	4	6
ყოჩაგი	6	2	0	4	4
ანა	6	0	0	6	0



გაი უნგრეთისგან

მსახურ წალკოტქალაქ მალორკაში წელ-წელა ზურდება 36-ე საჭადრაკო ოლიმპიადა, თუმც ქართველი ქალ-ვაჟები ვერჯერობით ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ. არა, ჩვენებს ვერ არცერთი ტური არ ჩაუვდით, მაგრამ შთამბეჭდავად ვერ იგებენ და წელ-წელა სცილდებიან ლიდერთა მარაქას.

პირველ ტურში ვაჟები ინვალიდთა ნაკრებთან მშრალი ანგარიშით მოგებას გეგმავენ, მაგრამ ნაკრების ლიდერმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა მოულოდნელად წააგო დაბალრეიტინგიან მეტოქესთან. ფიდე-ს ვიცეპრეზიდენტმა მეორე დღესვე გამოიხიდა „დანაშაული“ და თავისი წილი პარტია მოუგო სლოვენელ ადრიან მიპა-ლიჩისის, გუმინ კი ჩინეთთან დაისვენა. ორი ტურის შემდეგ ექვსკულისანი ქართველები რეიტინგში მე-16 ადგილოსან აზილებს სამ დაფაზე მშვიდობიანად და-ცილდნენ. მეოთხემ — ბაადურ ჯობაძემ კი 56-ე სვლაზე დაამატა ანგი. ახლა ჩვენებს 8,5 ქულა მოუგროვდათ და ვერჯერობით მე-20-26 ადგილებს იყოფენ, მაგრამ წინ ზომ კიდევ II ტურია.

დღის მთავარ მატჩში კი ოლიმპიადის ფავორიტმა უკრაინელებმა ვასილი ივანჩუკის ატამანობით 4:0 სძლიეს მანამდე ქულადუკარგავ ჩეხებს. უკრაინელებს 3 ტურში, ყაიმი რა არის, ისიც არ უთამაშიათ და 12 ქულით, იცოცხლეთ, ტემპი აკრიფეს.

ახლა ქალებზეც ვთქვათ: პირველ დღეს ბოსნიელე-ბთან მოხვეჭილი 2,5 ქულის შემდეგ, ჩვენებმა ჩეხეთს (რეიტინგში 21-ე) შედარებით მოკრძალებით მოუგეს. კვლავ საყაიმოდ ითამაშა მაია ჩიბურდანიძემ, რომელსაც ლელა ჯავახიშვილმა მიბაძა, ზოლო ნანა ძაგნი-ძემ ჩეხ ჩელიკოვას 37-ე სვლაზე ჩააქნევინა ხელი.

გუმინ ქართველი მანდილოსნები ჩვენსავით მდიდარი საჭადრაკო ტრადიციების უნგრელებს (13) შეხვდნენ და

პირველი მარცხიც არ აგვცდა. ლომინეშვილმა და ჯავა-ხიშვილმა შავი ფერებით წააგეს, ზოლო კინკლა ნახე-ვარქულა მოიპოვა ნანა ძაგნიძემ, რომელიც ქართველთა-გან მალორკაში უდავოდ საუკეთესოა. შედეგად, 5-ქული-ანი ქართველები მესამე ტურის შემდეგ 39-45-ე ადგილებს იყოფენ, რაც ნაღდად არ შეგვეფერება. პირველ ადგილზე კი გერმანია 8,5 ქულით, ზოლო მათი ქართველი ლიდერი ქეთევან კახიანი თამაშს თამაშზე იგებს.

ილია ნანოხაშვილი

ვაჟები	
II ტური	
საძარტველო — სლოვენია 3:1	
ზურაბ აზმაიფარაშვილი — ადრიან მიპალიჩისი 1:0	
ზვიად იზორია — დრაჟენ შერმევი 1:0	
გიორგი მახაიძე — დაშკო პავასოვიჩი 0,5:0,5	
მიხაკ ბაბუნაშვილი — იური ბორიშევი 0,5:0,5	
III ტური	
საძარტველო — ჩინეთი 2,5:1,5	
თამაზ ბილაშვილი — იუ ვენგი 0,5:0,5	
მიხაკ ბაბუნაშვილი — ფუნ ჰუ 0,5:0,5	
ბაადურ ჯობაძე — ფონგ იანგი 1:0	
ზვიად იზორია — იანგ ჰუანი 0,5:0,5	
ქალები	
II ტური	
საძარტველო — ჩინეთი 2,5:0,5	
მაია ჩიბურდანიძე — იანა იაკოვა 0,5:0,5	
ლელა ჯავახიშვილი — პეტრა ბლაჟევიკა 0,5:0,5	
ნანა ძაგნიძე — კატკა ჩედიკოვა 1:0	
III ტური	
საძარტველო — უნგარი 0,5:2,5	
ნანა ძაგნიძე — ილიდო მადრი 0,5:0,5	
ლელა ჯავახიშვილი — ზიდონია ვაჟდა 0:1	
მაია ლომინეშვილი — ანიტა გარა 0:1	

ავტორბოლა



მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში XIV ეტაპი საფრანგეთი

ფრანგმა კორსიკაში გაიხარა

30 წლის სებასტიენ ლოები გახდა მეორე ფრანგი, ვისაც მერა-ლეთა ჩემპიონატი მოუგია. სები ოთხი ეტაპის წინაც თითქმის მი-უწვდომელი იყო მდევრებისთვის, მაგრამ ვა ტრიუმფამდე იმბოტომ გაუგრძელდა, რომ მოქმედმა ჩემ-პიონმა პეტერ სოლბერგმა ზედი-ზედ სამი ეტაპი მოიგო.

გუმინ ყველაფერი გაირკვა. კუ-ნძულ კორსიკის მთავარქალაქ აი-აოს მიდამოებში წვიმიან-ტალა-ხიან ასფალტზე ლოები მონაკო-ელ თანამძღოლ დანიელ ელენასთან ერთად მხოლოდ მეორე ადგილს კი დასჯერდა (თანაც ზედიზედ მე-ოთხედ), მაგრამ რადგან მათი მდე-ვარი სოლბერგის ეკიპაჟი ჩაფლავ-და, სანატრული ტიტულიც ვადა-მდე ორი რბოლით ადრე გაინა-ლდა. ექვსი წელია ლოები რალი-ში ჯირითობს, 53-ჯერ გავიდა სტა-რტზე და ცხრა დიდი პრიზიც მო-იგო. საჩემპიონო შანსი შარშანაც ჰქონდა, მაგრამ ვერცხლის პრეზი-ორობით დაკმაყოფილდა. წლეულს კი ხუთი ეტაპი მოიგო, II-ჯერ შე-დგა პოდიუმზე და დაუყვედრებლად გახდა უძლიერესი.

კორსიკის რალი ესტონელ მა-რკო მარტინის ბენეფისად იქცა. კო-კისპირული წვიმისგან დამძიმებულ ვითარებაში მას მხოლოდ ერთხელ მოეცარა ხელი, როცა ამინდის შე-სატყვისად ვერ შეარჩია საბურა-ვები, თუმც ბოლომდე შეინარჩუნა მეწინავეობა და კარიერაში პირვე-ლი ვიცეჩემპიონობის შანსი.

კიდევ იმაზეც, რომ არცთუ ურიგო, მეექვსე შედეგი აჩვენა ყოფილმა მეფორმულე სტეფან სარაზინმა.



სებასტიენ ლოები მეორე ფრანგი ჩემპიონია

რბოლის შედეგები

1	მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი)	4სთ; 11,51,4
2	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	ჩამორჩა 2.02,0
3	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	2.55,3
4	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო)	3.29,1
5	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)	5.06,3
6	სტეფან სარაზინი (საფრანგეთი, სუბარუ)	7.09,1
7	ფრედი ლა (ბელგია, პეჟო)	8.21,2
8	არმინ შვარცი (გერმანია, შკოდა)	9.08,3


საერთო ჩათვლა

1	სებასტიენ ლოები 108 ქულა; 2 პეტერ სოლბერგი 78; 3 მარკო მარტინი 69; 4 კარლოს საინსი 67; 5 მარკუს გრონჰოლმი 54; 6 ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) 47; 7 მიკო პირვონენი (ფინეთი, სუბარუ) 23; 8 პარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 20; 9 ანე ტუინი (ფინეთი, ფორდი) 16; 10 ფრედი ლა 9
---	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

კონსტრუქტორთა ტახტი

სიტროენი 178 ქულა, ფორდი 127, სუბარუ 108, პეჟო 85, მიტუბისი 17

მსოფლიოს ჩემპიონატი XV ეტაპი



ვალენტინო როსი ზედიზედ მეოთხედ გახდა ჩემპიონი

ვანტასტიკური დოქტორი როსი

დიდებულ გამარჯვებით აღ-ნიშნა „სამქეფო კლასში“ ზედიზედ მეოთხედ კაჩემპიონება 25 წლის ვალენტინო როსი.

ოკეანის პირას მოწყობილ „ფი-ლიპ აილქნდზე“ რბოლის დასაწყი-სში იტაღ იელი „მეტო შუმხერი“ მეოთხე იყო, თუმც პირველივე წრის ბოლოს ადვილად გაუსწორდა ორ წინმდგომს და პოულის მომგებ სე-ტე ვიბერნოს გამოენთო. არაერთი ცდის მიუხედავად, როსიმ კარგა ხანს ვერ მოახერხა ლიდერობის ხე-ლში ჩაგდება, დისტანციის ორი მე-სამედი მიწებებულებით მისდევდა და ფინიშამდე ცხრა წრით ადრე როგორც იქნა, გრძელ სასტარტო სწორზე შემლო ესპანელის უკან ჩამოტყვება.

ბრძოლის ბედი თითქოს ვადაფ-ყვეტილი ჩანდა, მაგრამ ვიბერნოს ხელი ვაზიდან არ აუშვია და ოთხი წრის შემდეგ იმავე ადგილას ჩი-ნებულნი რევანშიც აიღო. ესეც არ ყოფილა დასასრული — დუელის დასკვნითი წრე ფანტასტიკური სა-ნახაობა იყო და მთელ რბოლად ღირდა. „დოქტორმა“ (როსის მეტ-სახელია) შიდა მხრიდან რისკიანი

მანევრით მეწინავეობა დაიბრუნა, მაგრამ ხუთიოდ წამში ლურჯა რა-ში შეუტოკდა და კვლავ ვიბერნო გაიჭრა წინ. ორი მოსახვევიდა რჩე-ბოდა, როცა იტალიელმა ანალო-გიური იერიშით მესამედ გაასწრო კონკურენტს და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა.

ამრიგად, სეზონის გასრულება-მდე ერთი ეტაპით ადრე ვალენტი-ნო როსი მეექვსედ გახდა მსოფ-ლიოში საუკეთესო მოტომხედარი (1997 და 1999 წლებში დაბალ კლას-ებში იყო უძლიერესი). იგი ამე-რიკელ ედი ლოუსონის შემდეგ მე-ორეა, ზედიზედ სხვადასხვა მანქა-ნით რომ მოიპოვა პირველობა. როსი შარშან „ჰონდათი“ დაჯირითობდა.

ჩემპიონი გაირკვა 250-ანგულთა კ-ტეგორიაშიც. ესპანელი დანიელ პე-დროსა გუმინ მხოლოდ მეოთხე ად-გილზე კი გავიდა, მაგრამ ვადამდე საჩემპიონოდ ეს საკმარისზე მეტიც იყო. 19 წლის დენი შარშან ყველაზე დაბალ კლასშიც ყველაზე წინ იყო, ასე რომ, გახდა უმრწემესი მრბოლი, ვისაც ზედიზედ ორ სხვადასხვა დი-ვიზიონში უმარჯვია.

გია ახალაძე

მსტარალიის დიდი პრიზი. შილია კილანდი — 4448 მ

მეტო გრან პრი — 120,13მ

1	ვალენტინო როსი (იტალია, ვალუაზ იამაპა)	41 წთ; 25,8
2	სეტე ვიბერნო (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა)	ჩამორჩა 0,1
3	ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი)	10,5

საერთო ჩათვლა

1	როსი 279 ქულა; 2 ვიბერნო 244; 3 მაქს ბიავი (იტალია, ქემელ ჰონდა) 197; 4 ალექს ბარუში (ბრაზილია, რეპსოლ ჰონდა) 155; 5 კოლინ ედვარდსი (აშშ, ტელეფონიკა ჰონდა) 149
---	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

250 სმ — 111,23მ

1	სებასტიან პორტო (არგენტინა, რეპსოლ აპრილია)	39 წთ; 24,6
2	ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია რეისინგი)	5,9
3	მანუელ პოჯიალი (სან მარინო, MS აპრილია)	13,3

საერთო ჩათვლა

1	დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) 292 ქულა; 2 პორტო 256; 3 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, კარერა აპრილია) 198; 4 ტონი ელიასი (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) 179; 5 დე ანჯელისი 147
---	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

125 სმ — 62,43მ

1	ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა)	38 წთ; 01,9
2	ხორხე ლორენცი (ესპანეთი, კახა მადრიდ დერბი)	0,1
3	კეისი სტოუნერი (ავსტრალია, KTM)	0,1

საერთო ჩათვლა

1	დოვიზიოსო 273 ქულა; 2 რობერტო ლოკატელი (იტალია, კარერა აპრილია) 182; 3 ლორენცი 179; 4 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ზეედორფ აპრილია) 177; 5 სტოუნერი 145
---	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------



ქიშლოს საკლუბო ჩემპიონატი არანაკლებ პრესტიჟული შეჯიბრია, ვიდრე სანაკრებო პირველობები, მაგრამ ქართული ძიუდოს ბიუჯეტში ისედაც კაპიკებში გათვლილი თანხები ამ სიაში იმდენად ვერაფრით გასწვდებოდა. ამიტომაც ბოლო წლებში საქართველოს ნაკრების წევრებმა თუ კანდიდატებმა უცხოური სარფიანი წინადადებები მიიღეს.

ბებერ კონტინენტზე ძიუდოს სეზონი მალე დასრულდება და რადგან ჩვენებურებს მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტები ჰქონდათ გაფორმებული, უცხოური კლუბები ახალ ხელშეკრულებებზე მალე ჩამოუვდებენ სიტყვას. თუმცა ამ უქმეებზე სასტუმრო „მარიოტის“ საპრესკონფერენციო დარბაზში ჩატარებული პრესკონფერენციამ ისეთი ამბავი გვამცნო, ყველა ქართველ გულშემოტიკვარს რომ გაუხარდება — თურქულ-გერმანული კლუბების შეფებს კი წინ დიდი იმედგაცრუება ელით.

მომავალი წლიდან საკლუბო პირველობაში საქართველოს ნაკრების ბაზაზე დაკომპლექტებული კლუბი „საგარეჯო“ ჩაერთვება და მინიმუმ, ფინალურ ეტაპამდე მივა „მარიოტში“ შეკრებილმა მთავრობისა და ძიუდოს მალაქონის ნებამაც ეს იდეა გამოამსჯურეს, თუმცა დეტალებზე საუბარი ჯერ ნადრევია და ნებისმიერი წყრილმან-ფორმალობის დადებითად გადაწყვეტას წინ ველარაფერი უნდა დაუდგეს.

იდეის ავტორი საგარეჯოელი პარლამენტარი ვია ნაცვლიშვილია, რომელსაც თანარაიონელები შემოუკრებია და უკვე სპონსორებიც დაუთანხმებია:

„კლუბის შექმნაზე ჯერ კიდევ წლების წინ ვფიქრობდი, მაგრამ

ახალგაზრდა ქართველი ძიუდოსტები მსოფლიოს ჩემპიონატიდან თითო ოქრო-ვერცხლით მოდიან. ბუდაპეშტის ტატამზე ლაზათიანად იჭიდავა ეროვნულ ნაკრებში აღრუულადვე ფეხმოკიდებულმა მძიმეწონისანმა ლამა გუჯეჯიანმა, რომელიც მეტოქეებს ყოველგვარი მიკბ-მოკბების გარეშე გაუსწორდა. ჯგუფიდან უოფლოდ გასულმა ლამამ ნახევარფინალში რუსი ანდრეი ვოლკოვი წააქცია, ხოლო ფინალში უნგრელი ბარნა ბორი 57 წამში და-



ლამა გუჯეჯიანმა (თეთრ კიმონოში) ფინალში უნგრელი ბარნა ბორი დასცა და თანატოლებში მსოფლიოს ჩემპიონი შეიქნა



ივერი ჯიქურაული, ზურაბ ზვიადაური, დავით ქვეციშვილი, დავით მარგოშვილი და ნესტორ ხერგიანი: ეს ბიჭები მალე ქართული კლუბის სახელით იჭიდავებენ

ჰაჯიმა, ჯო, საბარეჯო! პახელაგა ტატამზე საქართველო უამოიპრიბუს

თქმაც არ უნდა, ათენის ოლიმპიადის შემდეგ საქართველოში ძიუდოს პოპულარობა უსაზღვროდ გაიზარდა. ათენურ ოქრო-ვერცხლს ახალგაზრდული ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მედლებიც დაემატა. ერთი კვირის წინ კი გერმანულ აბენსბერგში ევროპის საკლუბო ჩემპიონატის

საქმის ბოლომდე მიყვანა დღემდე ვერ მოხერხდა — ამბობს ნაცვლიშვილი — ათენის ოლიმპიადაზე ჩვენებურთა შედეგებმა კი გზები გაგვიხსნა. სპონსორების ძებნაში დიდი ენერჯია არ დაგვიხარჯავს. ვისთანაც მივდივით, ყველა მაშინვე დაგვთანხმდა. კლუბს „საგარეჯო“ ერქმევა, მაგრამ საშინაო შეხვედრებს თბილისში ჩაატარებენ. საგარეჯოში ალბათ ვარჯიშებსა და შეკრებებს მოაწყობს. იქ ძიუდოს პოპულარობა არასოდეს აკლდა, ამ

ფინალური ეტაპი ჩვენებურთა მონაწილეობით ჩატარდა. გულდასაწყვეტი ისაა, ზურაბ ზვიადაურმა, ნესტორ ხერგიანმა, დავით მარგოშვილმა, დავით ქვეციშვილმა, მინდია ბოდაველმა და ივერი ჯიქურაულმა მედლები გერმანულ-თურქული კლუბებისთვის მოიხვეჭეს.

ნაბიჯის შემდეგ ხომ კიდევ უფრო დაინტერესებს დიდსა თუ პატარას. უკვე ოთხი დარბაზი მოვამზადეთ, რომლებსაც დღე-ღამეზე სახელმწიფოსგან ნაჩუქარი ხალიჩებითაც გავაწყობთ.“

საგარეჯოს გამგებელმა გარსევან ბუნჩიკაშვილმა მისი რაიონიდან წამოსული დიდი სპორტსმენები არსენ მეკოკიშვილი, ლევან თედიაშვილი და გივი ონაშვილი შეგვახსენა და დანახვით თქვა, ასეთი მოჭიდავეების გამზრდელ სკო-

ლას ბოლო ოლიმპიადაზე არავინ ჰყოლია, თუმცა თავი თავადვე დაიბედა, რომ კლუბი „საგარეჯო“ ძველი დიდების დაბრუნებაში დაეხმარება. და კიდევ, ბუნჩიკაშვილის სიტყვებით, ამ საქმისთვის საჭირო თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც გამოიყოფა.

„საგარეჯოს“ მთავარი მწვრთნელი ჩვენი ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი იქნება. ეს აქედანვე გადაწყვეტილია, საბოლოო შემადგენლობას კი ახლო მომავალში შევიტყობთ.

გოლდ-ჯეჯიანი ოქროც, ვერცხლიც, იმადიც...

აიპონა. ერთი ნადია, თანატოლებში გაჩემპიონებული გუჯეჯიანი შოთა ხაბარელს პეკინის ოლიმპიადაზე მძიმეწონის პრობლემას არ გაუჩენს. სამწუხაროდ, ოქრომდე ერთი ნაბიჯი დააკლდა ზაზა კედელაშვილს (66 კგ), რომელმაც ყველაზე სასახელო გამარჯვება ჯგუფში მოიპოვა ევროპის წლევედელ ჩემპი-

ონთან, გაბერძენებულ ქართველ ტარიელ ზინდირიძისთან (გედენიძე). გუმინ ზაზამ ნახევარფინალშიც იოლად, 56 წამში დააკოტრაილა რუსი სულეიმან აბაევი, ხოლო ფინალში თავად წამოეგო იაპონელი პიროუკი აკიმოტოს ილეთს და ვერცხლის მედალს დასჯერდა. არადა, ამ მომენტამდე კედელაშვილი

აზიელს ერთი კოკათი უგებდა. სამწუხაროდ, სხვა ქართველებმა ვერ გაგვახარეს. დავით ასუმბანი (60კგ), გრიგოლ ბაინდურამ-ვილი (73კგ) და ლევან რაზმაძე (100კგ) პარასკევსე დაემშვიდობნენ მედლებს, ლომერ ჟორჯოლიანმა (90კგ) საწყისი წაგების შემდეგ სამი მეტოქე დაამარცხა,



ილია ნანობაშვილი

შოთა ხაბარელი: „ევროპის საკლუბო ჩემპიონატი უპრესტიჟოლესი ტურნირია და ძიუდოს სიტყვით გადაძვრის ის სისარობო რაც ამ იღვეის ტორტურისგან განსაკუთრებით მომიდგენია, რა დღეში ჩავარდებიან ის კლუბები, მომავალი სეზონისთვისაც ჩვენი ბიჭების იმედი რომ აქეთ. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი შემადგენლობა გვეყოლება და აუცილებლად ჩემპიონობისთვის ვიბრძობებით. თითოეულ წონაში 2-3 კაცი გვეყოლება, მუდმივად კონკურენცია რომ იგრძნობოდეს. თავიდან შედგება ჯგუფები, რომლის შეხვედრებიც მძიმესვლითი სისტემით ჩატარდება. ვისთან როდის მოგვიწევს ბრძოლა, იანერის დასაწყისში საფრანგეთში გამართული კენჭისყრა დაადგენს სასურველს, პირველი ტური თბილისში ჩავატარებთ.“

პრესკონფერენციას ჩვენი ნაკრების წევრებიც ესწრებოდნენ და იქვე გაჟღერებულ ჯერ ბოლომდე ჩამოუყალიბებულ პირობებს წინასწარც დასთანხმდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ახლანდელ კლუბებთან შედარებით მცირე ხელფასები დაენიშნებათ. უფროსკაცებმა კი პატიოსნად თქვეს, ყველა წვრილმანზე ისე მოვილაპარაკებთ, გული არავის დასწყდება.

ბოლოს კი შოთა ხაბარელისგან ერთი სასიამოვნო ინფორმაციაც მივიღეთ. „საგარეჯოს“ კიშანოთი შეიძლება ორივე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზვიადაურმა იჭიდაოს. ჯარჯის ჯერ არ შევხვნიანებივართ, მაგრამ არა გვეკონია, ეს საქმე საქართველოს სასიკეთოდ არ გადაწყდესო — გვითხრა ხაბარელმა. მთავარია, თბილისურ ზარამდე ჯარჯიმ სხვა უცხოურ კლუბთან არ გააფორმოს კონტრაქტი.

ოთარ გულაგაბიძე

თუმცა „სომეხ“ რუს სამველ სარგსიანთან ვერაფერი გააწყო. ცოტადა დააკლდა ბრინჯაომდე ევროპის ახალგაზრდებში გაჩემპიონებულ გიორგი შინჯიკაშვილს (85კგ), რომელმაც გუმინ რეპეშაეის ფინალში სლოვაკი მარტინ რანდლი 3 წუთში დასცა, მაგრამ მესამე ადგილისთვის შეხვედრა პოლონელ კრეტიშოვ ვესლარცთან ქულებით დათმო. აქვე ვთქვათ, რომ შინჯიკაშვილის წონაში „რუსმა“, მაგრამ აშკარად ქართველმა ერეკლე კოპალიანმა იჩემპიონა.

ქართველი ძიუდოსტების შემდეგი გაჩერება სლოვენის დედაქალაქი ლიუბლიანაა, სადაც ნოემბერში ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატი გაიმართება.

ილია ნანობაშვილი
საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ძიუდოსტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ლეგენდარული მწვრთნელი ბიძინა გაზიაშვილი და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

სარბიელი
საორტული გაჯეტი
გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამომცემი: ორგანიზაციის, სამსახურის, ორგანიზაციის, ხელშეწყობის და შპს-ის

გამომცემელი: ზურაბ ზვიადაური
დირექტორი: ბიძინა ბიძინაძე
რედაქტორი: თამაზ მიხრიაშვილი
რედაქტორის მოადგილე: სოსო კოტორიაშვილი
ტექნიკური რედაქტორი: მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალაბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯიანი, გიორგი ვაშაძე, ლადო ხომერიკი, ვაკე ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალაქელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუნუნიშვილი, ელენე ველუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალისხელი, მაგდა დორაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქიქელიძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშყარიანი

გამომცემის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზვავის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საქონლო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა: sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია: http://www.sarbieli.com.ge